

საბროკერო მომსახურების პირობები

ნაწილი I.....	3
შესავალი დებულებები	3
ტერმინთა განმარტებები	3
კლიენტის განცხადებები და გარანტიები.....	4
ნაწილი II.....	6
მომსახურების წესი და პირობები.....	6
ნაწილი III.....	7
საბროკერო მომსახურების ტარიფები.....	7
მხარეთა პასუხისმგებლობა	8
პასუხისმგებლობის შეზღუდვა.....	8
გადასახადები.....	8
ხელშეკრულების ცვლილება	8
ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტა.....	9
მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა	9
კომუნიკაცია	9
კონფიდენციალურობა და პერსონალური მონაცემების დამუშავება.....	10
დასკვნითი დებულებები	13
დანართი №1 - სატარიფო პაკეტი.....	14

1. შესავალი დებულებები

- 1.1. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საბროკერო მომსახურების სტანდარტულ პირობებს¹ (შემდგომში - "პირობები"), რომელიც განსაზღვრავს საბროკერო მომსახურების აღწერილობას, პირობებს და მხარეთა უფლებამოსილებებს აღნიშნული მომსახურების სარგებლობის პროცესში.
- 1.2. **ბანკსა** და **კლიენტს** შორის ურთიერთობები რეგულირდება ხელშეკრულებით (შემდგომში "ხელშეკრულება"), რომელიც შედგება:
 - 1.2.1. განაცხად(ებ)ისაგან, რომელიც შევსებულია **კლიენტის** მიერ, ხელმოწერილია **მხარეთა** მიერ ან/და **კლიენტი** დათანხმებულია **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა ფორმით;
 - 1.2.2. წინამდებარე პირობებისაგან;
 - 1.2.3. **ბანკის** მიერ დადგენილი ტარიფებისაგან, მათ შორის **პირობების დანართში** მოცემული ტარიფებისაგან (შემდგომში "ტარიფები");
 - 1.2.4. **ბანკის** მონაცემთა დაცვის პოლიტიკისაგან, რომელიც განთავსებულია **ბანკის** ვებ-გვერდზე www.libertybank.ge;
 - 1.2.5. ნებისმიერი დამატებითი პირობებისაგან, დანართისაგან ან/და განაცხად(ებ)ისაგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც შეეხება არსებულ ან/და **ბანკის** მიერ მომავალში შეთავაზებულ მომსახურებას და რომელიც საჭირო იქნება **კლიენტის** მიერ დამატებითი და/ან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული **საბროკერო მომსახურებ(ებ)ით** სარგებლობისათვის.
- 1.3. წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული მომსახურების მიღების მიზნით **კლიენტი** ვალდებულია:
 - 1.3.1. **ბანკში** გახსნილი ჰქონდეს მიმდინარე ანგარიში;
 - 1.3.2. ყველა სახის მომსახურების გამოყენებისათვის გაეცნოს წინამდებარე პირობებს;
 - 1.3.3. სრულად შეავსოს და ხელი მოაწეროს/დაეთანხმოს (მათ შორის ელექტრონული ფორმით) სათანადო განაცხადს, რითაც იმავდროულად ადასტურებს, და გარანტიას იძლევა, რომ: (ა) განაცხადი შეავსებულია სრულად; (ბ) განაცხადში მითითებული ინფორმაცია არის სწორი და უტყუარი; (გ) განაცხადის ხელმოწერამდე ან/და სხვა ფორმით თანხმობის გამოხატვამდე სრულად გაეცნო წინამდებარე საბროკერო მომსახურების პირობებსა და ტარიფებს;
 - 1.3.4. საკუთარი თავის იდენტიფიცირების მიზნით წარმოუდგინოს **ბანკს** პირადობის დამადასტურებელი საბუთი, რომლის მონაცემები იქნება შეყვანილი **განაცხადში**;
 - 1.3.5. განახორციელოს **კლიენტის** იდენტიფიკაციის მიზნით **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა ქმედება;
- 1.4. **ბანკი** იტოვებს უფლებას, უარი განუცხადოს **კლიენტს** მომსახურების გაწევაზე, თუ **კლიენტმა** სათანადო წესით არ შეავსო, ხელი არ მოაწერა/არ დაუდასტურა ან **ბანკს** არ წარუდგინა **ბანკის** მიერ მოთხოვნილი რომელიმე დოკუმენტი **ბანკისათვის** მისაღები ფორმით და შინაარსით ან/და არ გაიარა იდენტიფიკაციის პროცესი **ბანკის** მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად.
- 1.5. **ბანკი** დაიწყებს **კლიენტის** მომსახურებას **კლიენტის** მიერ შესაბამისი **განაცხადის** შევსებისა და **ბანკის** მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენის ან/და შესაბამისი **მომსახურების** მისაღებად **ბანკის** მიერ დადგენილი პროცესის სრულად გავლის შემდეგ. ამასთან, **ბანკს** უფლება აქვს, ერთპიროვნულად, საკუთარი შეხედულებისამებრ არ მიიღოს **განაცხადი** და უარი განუცხადოს **კლიენტს** მომსახურების გაწევაზე, მიზეზის გაცხადების გარეშე.
- 1.6. **ბანკს** უფლება აქვს შეამოწმოს **კლიენტის** მიერ მისთვის (**ბანკისათვის**) მიწოდებული ან/და **კლიენტის** შესახებ ნებისმიერი სხვა გზით მოპოვებული ინფორმაცია, რაზედაც **კლიენტი** აცხადებს ერთმნიშვნელოვან და უპირობო თანხმობას.
- 1.7. **კლიენტის** მიერ **პირობებში** აღწერილი მომსახურების (ან მისი ნაწილის) **ბანკის** თანხმობით გამოყენება განხილდება როგორც **კლიენტის** თანხმობა წინამდებარე პირობების შესაბამისად აღნიშნული მომსახურებით სარგებლობის პირობებზე.
- 1.8. **ბანკის** გადაწყვეტილებით, **კლიენტისთვის** საბროკერო ანგარიში შეიძლება გაიხსნას **ბანკისთვის** დისტანციურად მიმართვისას **ბანკის** მიერ დადგენილი წესით, შესაბამისი პროცედურების გავლის გზით.
- 1.9. **ბანკი** იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე პირობებში გათვალისწინებული წესები ან/და ხელშეკრულების სხვა შემადგენელ დოკუმენტებში მოყვანილი წესები, პირობები ან/და ტარიფები იმისათვის, რომ ისინი (პირობები) შესაბამისობაში მოვიდეს **ბანკში** დადგენილ ახალ წესებთან, შეცვლილ საბაზრო პირობებთან, საბროკერო პრაქტიკასთან ან/და მარეგულირებელ კანონმდებლობასთან.
- 1.10. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, ცალმხრივად, **კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე შეაჩეროს ან შეწყვიტოს წინამდებარე პირობებით განსაზღვრული რომელიმე ან ყველა მომსახურების შეთავაზება/მიწოდება. **ბანკის** მიერ აღნიშნული ქმედების განხორციელება არ ჩაითვლება მის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევად.
- 1.11. ხელშეკრულების და წინამდებარე პირობების განახლების/ცვლილების შესახებ **კლიენტს** ეცნობება **ბანკის** მიერ განსაზღვრული წესით. იმ შემთხვევაში თუ **კლიენტს** არ გაეცნობა განახლებულ პირობებს, მაგრამ **კლიენტი** განახორციელებს/გააგრძელებს ახალი ან განახლებული მომსახურებით

¹ **ბანკის** დოკუმენტ(ებ)ში, რომელშიც გაკეთებულია მითითება „ლიბერთი საბროკერო მომსახურების პირობებზე“, იგულისხმება წინამდებარე პირობები.

სარგებლობას, იგულისხმება, რომ იგი აღნიშნული ქმედებით ეთანხმება იმ დროისათვის **ბანკში** არსებულ შესაბამისი მომსახურების პირობებს;

2. ტერმინთა განმარტებები

- 2.1. თუ წინამდებარე პირობებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული ან/და მისი (**პირობების**) კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ქვემოთ მოცემულ ტერმინებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობა:
 - 2.1.1. **ანგარიში** - **ბანკში** დადგენილი ფორმით შედგენილი ინფორმაცია, **კლიენტის საბროკერო ანგარიშზე** განხორციელებული ოპერაციებისა და ნაშთების შესახებ;
 - 2.1.2. **საბროკერო ანგარიში (ანგარიში)** - **კლიენტის** სახელზე **ბანკის** სისტემაში არსებული ბუნეფიციალური ანგარიში, რომელსაც აქვს უნიკალური ნომერი და რომელზეც ხორციელდება **კლიენტის** მიერ ან **კლიენტის** დავალებით **ბანკის** მიერ **კლიენტის მიმდინარე** ანგარიშიდან საინვესტიციო თანხების/ფულადი სახსრების ჩარიცხვა.
 - 2.1.3. **ანგარიშის ნაშთი** - **კლიენტის ანგარიშზე/სახელზე** არსებული აქტივების ერთობლივი ღირებულება. **ანგარიშის** ნაშთის დაანგარიშებისას, **ფინანსური ინსტრუმენტ(ებ)ის** ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდის მიხედვით.
 - 2.1.4. **აქტივები** - **კლიენტის ანგარიშზე** არსებული **ფულადი სახსრები** და **კლიენტის** სახელზე არსებული **ფინანსური ინსტრუმენტ(ებ)ი**;
 - 2.1.5. **ბანკი** - სს "ლიბერთი ბანკი" (საიდენტიფიკაციო კოდი: 203828304), რომელიც მოქმედებს კანონმდებლობის და მისთვის მინიჭებული ლიცენზიის შესაბამისად და რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების მხარეს;
 - 2.1.6. **ბანკში დაფიქსირებული მილილი** - იურიდიული პირის მიერ (**კლიენტის**) **ბანკში** დაფიქსირებული საკომუნიკაციო ელექტრონული ფოსტა, რომელიც **ბანკის** მიერ საკუთარი (**ბანკის**) შეხედულებისამებრ გამოიყენება **კლიენტთან** კომუნიკაციისას ან/და ოპერაციის, დავალების ან/და საბროკერო მომსახურების ფარგლებში, მათ შორის **ბანკის** მხრიდან შეთავაზებული, ნებისმიერი დოკუმენტის (მათ შორის გარიგების) დასადასტურებლად/წარსადგენად;
 - 2.1.7. **განაცხადი** - **ბანკში** **კლიენტის** მიერ საბროკერო ანგარიშის გახსნისა და საბროკერო მომსახურების მიღების მიზნით ხელმოწერილი შესაბამისი განაცხადის ფორმა.
 - 2.1.8. **გარიგება** - **კლიენტის** მიერ შესაბამისი ფორმით გაგზავნილი დავალებით განსაზღვრული ოპერაცია.
 - 2.1.9. **გარიგების დადასტურება**- **ბანკის** შესაბამისი ელექტრონული ფოსტიდან **კლიენტისთვის** გაგზავნილი შეტყობინება, რომელიც ადასტურებს დავალების განხორციელებას და რომლის საფუძველზეც დასტურდება **ფინანსური ინსტრუმენტ(ებ)ის** საკუთრების უფლების გადასვლა ერთი მხარიდან მეორეზე. **გარიგების დადასტურების** ფორმა შედგენილია **ბანკის** შეხედულებისამებრ.
 - 2.1.10. **დავალება** - **კლიენტის** მიერ **ბანკისთვის** მიცემული დავალება საბროკერო მომსახურების მიღების თაობაზე, რომელსაც **კლიენტი** გასცემს ვერიფიცირებული მილილი, **ბანკში დაფიქსირებული მილილის** ან/და **ინტერნეტ ბანკის** გამოყენებით, წინამდებარე პირობების შესაბამისად. **დავალება** უნდა მოიცავდეს პირობებით განსაზღვრულ სავალდებულო რეკვიზიტებს, უნდა განხორციელდეს ქართულ ან/და ინგლისურ ენებზე და აკმაყოფილებდეს **ბანკის** მიერ დამატებით მოთხოვნილ ინფორმაციას (ასეთის საჭიროების შემთხვევაში).
 - 2.1.11. **სავალდებულო რეკვიზიტები** - ის აუცილებელი რეკვიზიტები, რომლებიც უნდა დაფიქსირდეს **კლიენტის** მიერ **ბანკისთვის** დავალების მიცემისას. **დავალება**, სულ მცირე უნდა მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო რეკვიზიტებს:
 - **ფინანსური ინსტრუმენტ(ებ)ის** ემიტენტი;
 - **ფინანსური ინსტრუმენტ(ებ)ის** ტიპი;
 - **ფინანსური ინსტრუმენტ(ებ)ის** საიდენტიფიკაციო სიმბოლო (ფუქსნ/ISIN ან სხვა მადენტიფიცირებელი სიმბოლო) (ასეთის საჭიროების შემთხვევაში);
 - განსახორციელებელი **დავალების** ტიპი (ყიდვა, გაყიდვა, დავალება ფასზე ლიმიტით და ა.შ.);
 - **დავალების** მოქმედების ხანგრძლივობა;
 - **ფინანსური ინსტრუმენტ(ებ)ის** სასურველი ყიდვა/გაყიდვის ფასი (**დავალების** ტიპის შესაბამისად);
 - მილიანი ნომინალური ღირებულება და **ფინანსური ინსტრუმენტ(ებ)ის** რაოდენობა;
 - სხვა ნებისმიერი დამატებითი პირობა, რომელსაც **ბანკი** განსაზღვრავს დამოუკიდებლად;
 - 2.1.12. **დამუშავება ან მონაცემთა დამუშავება** - განმარტება პირობების 13.3.1 პუნქტის შესაბამისად;
 - 2.1.13. **ემიტენტი** - ნებისმიერი იურიდიული პირი, რომელსაც გამოშვებული აქვს **ფინანსური ინსტრუმენტ(ებ)ი**.
 - 2.1.14. **ვერიფიცირებული ნომერი** - **ბანკში** დაფიქსირებული **კლიენტის** მობილური ტელეფონის ნომერი, რომელიც ვერიფიკაციას გადის **ბანკში** დადგენილი პროცედურების შესაბამისად და **ბანკის** მიერ საკუთარი (**ბანკის**) შეხედულებისამებრ გამოიყენება **კლიენტთან** კომუნიკაციისას ან/და ოპერაციის, დავალების ან/და საბროკერო მომსახურების ფარგლებში **ბანკის** მხრიდან შეთავაზებული ნებისმიერი დოკუმენტის (მათ შორის გარიგების) დასადასტურებლად;

2.1.15. ვერიფიცირებული მეილი - ფიზიკური პირის მიერ **ბანკში** დაფიქსირებული კლიენტის ელექტრონული ფოსტის მისამართი, რომელიც ვერიფიკაციას გადის **ბანკში** დადგენილი პროცედურების შესაბამისად და **ბანკის** მიერ საკუთარი (**ბანკის**) შეხედულებისამებრ გამოიყენება **კლიენტთან** კომუნიკაციის ან/და **ოპერაციის, დავალების ან/და საბროკერო მომსახურების** ფარგლებში, მათ შორის **ბანკის** მხრიდან შეთავაზებული, ნებისმიერი დოკუმენტის (მათ შორის გარიგების) დასადასტურებლად/წარსადგენად;

2.1.16. ინდივიდუალური სერვერებზე ინფორმაცია - ფინანსური ინსტრუმენტ(ებ)ის ანგარიში, რომელიც გამოიწვევს **ბანკის** საკუთარი **ფინანსური ინსტრუმენტ(ებ)ის** ანგარიშისაგან და გამოიყენება **კლიენტის** ბენეფიციარულ საკუთრებაში არსებული **ფინანსური ინსტრუმენტ(ებ)ის** სხვა **კლიენტების** ბენეფიციარულ საკუთრებაში არსებული **ფინანსური ინსტრუმენტ(ებ)ისაგან** განცალკევებულად აღრიცხვისათვის;

2.1.17. ინტერნეტ ბანკი- დისტანციური საბანკო მომსახურების ერთ-ერთი არხი, რომლის მეშვეობითაც **კლიენტს** შესაძლებლობა აქვს **ბანკში** გამოუცხადებლად, **ბანკის** ინტერნეტ გვერდის <https://my.libertybank.ge/> საშუალებით, მიიღოს სხვადასხვა ინფორმაცია და აწარმოოს ამ არხისთვის ნებადართული საბანკო ოპერაციები;

2.1.18. კანონმდებლობა - საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აგრეთვე საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების ერთობლიობა;

2.1.19. კლიენტი - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ხელს აწერს **განაცხადს საბროკერო ანგარიშის** გახსნის და **საბროკერო მომსახურების** მიღების შესახებ.

2.1.20. კონფიდენციალური ინფორმაცია - თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **ხელშეკრულების** ხელმოწერის (ან ნებისმიერი სხვა ფორმით თანხმობის გამოხატვის) ან/და მისი შესრულების შედეგად ერთ-ერთი **მხარის** მიერ მოგორე **მხარის** შესახებ მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან/და გაგზავნილი ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია (მათ შორის ინფორმაცია/დოკუმენტაცია **მხარის** პერსონალური, წილობრივი, ფინანსური მონაცემების, **მხარის** მფლობელი/მმართველი/ურთიერთდაკავშირებული პირ(ებ)ის, მესამე პირ(ებ)თან არსებული გარიგებ(ებ)ის, მფლობელობაში არსებული მოძრავი ან/და უძრავი ობიექტ(ებ)ის, ზიზნეს პროცესის/პროცედურების, მარკეტინგული სტრატეგიის, პროექტ(ებ)ის ან/და სხვა სახის მონაცემების შესახებ) ან/და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია/დოკუმენტაცია;

2.1.21. **მეილ-ბანკი**- ფიზიკური პირის საბანკო მომსახურების პირობებით განსაზღვრული მეილ-ბანკით მომსახურება;

2.1.22. **მიმდინარე ანგარიში** - ფიზიკური პირის საბანკო მომსახურების პირობებით ან იურიდიული პირების საბანკო მომსახურების პირობებით განსაზღვრული **კლიენტის** მიმდინარე ანგარიში;

2.1.23. **მოხალე ბანკი**- დისტანციური საბანკო მომსახურების ერთ-ერთი არხი, რომლის მეშვეობითაც **კლიენტს** შესაძლებლობა აქვს **ბანკში** გამოუცხადებლად, **ბანკის** მობილური აპლიკაციის საშუალებით, მიიღოს სხვადასხვა ინფორმაცია და აწარმოოს ამ არხისთვის ნებადართული საბანკო ოპერაციები;

2.1.24. **მხარე- ბანკი** ან **კლიენტი**, კონტექსტის შესაბამისად (ერთობლივად როგორც „**მხარეები**“).

2.1.25. **მესამე პირ(ები)** - პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნისათვის, **ბანკის** მშობელი ან/და შვილობილი საწარმო, მისი აფილირებული ან/და ჯგუფის წევრი პირები, **ბანკის** კონტრაქტორები, მიმწოდებლები, პროვაიდერები ან/და სხვა პირები, რომლებიც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის საფუძველზე ახორციელებენ **ბანკისაგან** მიღებული პერსონალური მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის **დამუშავებას** (**ბანკის** სახელითა და მიზნებისათვის, როგორც მისი უფლებამოსილი პირები, ასევე საკუთარი სახელითა და მიზნებისათვის - დამოუკიდებლად) ან/და **ბანკისათვის** მათი ან/და **ბანკის** კლიენტების შესახებ პერსონალური მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის მიწოდებას. **მესამე პირ(ებ)ის** კატეგორიები მოცემულია წინამდებარე პირობებში;

2.1.26. **საბროკერო მომსახურება (მომსახურება)**- მომსახურება, რომელსაც **ბანკი** უწევს **კლიენტს** **ხელშეკრულების** ფარგლებში. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, **მომსახურება** განიმატება, როგორც **ბანკის** უფლება (და არა ვალდებულება) **კლიენტს** გაუწიოს **საბროკერო მომსახურება**. **მომსახურება** მათ შორის მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მომსახურებას:

- **ფინანსური ინსტრუმენტ(ებ)ის** ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული **მომსახურების** უზრუნველყოფა;
- ანგარიშის მწარმოებლის/ნომინალური მფლობელის მომსახურება;
- ანგარიშებთან დაკავშირებული მომსახურება;

2.1.27. **მომსახურების ტარიფები (ტარიფები)**- **მომსახურების** და შესაბამისი გადასახდელების ტარიფების სია, რომელიც: (ა) მოცემულია/განსაზღვრულია წინამდებარე პირობების დანართ 1-ში; ან (ბ) განსაზღვრულია მიწოდებულია **კლიენტისთვის** ინდივიდუალურად (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ელექტრონული ფოსტის საშუალებით). **მომსახურების ტარიფები** წარმოადგენს წინამდებარე პირობების განუყოფელ ნაწილს.

2.1.28. **პერსონალური მონაცემები** - ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს;

2.1.29. **პირდაპირი მარკეტინგი** - ტელეფონის, ფოსტის, ელექტრონული ფოსტის ან სხვა ელექტრონული საშუალებით ინფორმაციის პირდაპირი და უშუალო მიწოდება ფიზიკური პირის ან /და იურიდიული პირის, საქონლის, იდეის, მომსახურების, სამუშაოს ან /და წარწევის, აგრეთვე საიმპიჯო და სოციალური

თემატიკისადმი ინტერესის ფორმირების, შენარჩუნების, რეალიზაციის ან /და მხარდაჭერის მიზნით;

2.1.30. **სამუშაო დღე** - კვირის დღეები, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, გარდა **ბანკის** მიერ განსაზღვრული დასვენების ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეებისა. ასევე დღეები, როდესაც კომერციული ბანკები და საფონდო ბირჟები ღიაა და აწარმოებენ საქმიანობას ნიუ-იორკი (აშშ), ლონდონში (გაერთიანებული სამეფო), თბილისში (საქართველო).

2.1.31. **საწესების დამდგენი ორგანო** - ნებისმიერი სახელმწიფოს ან/და სახელმწიფოთა გაერთიანების აღმასრულებელი/საკანონმდებლო/სასამართლო ხელისუფლება, ცენტრალური ბანკი, სახელმწიფო ორგანო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თვითმმართველო ორგანო, ზედამხედველი/მარეგულირებელი/მაკონტროლებელი ორგანო, (მათ შორის, მონაწილეს გარეშე, ამერიკის შეერთებული შტატების უცხოური აქტივების მონტრალის სამსახური, გაერთიანებული სამეფოს ფინანსური საწესების იმპლემენტაციის სამსახური, ევროპის კავშირის ან/და გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭო ან/და მათი ნებისმიერი სამართალმემკვიდრე), ასევე, ნებისმიერი საერთაშორისო/ხსენებული ორგანიზაცია, საერთაშორისო სახაზო შეხვედრა(ებ)/საკრძალავა(ებ)/ემბარგო(ებ)ს. 2.1.32. **უმომარაო ანგარიში** - წინამდებარე პირობებით განსაზღვრული **საბროკერო ანგარიში**, რომელიც უკანასკნელი უწყვეტი 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში არ ყოფილა გამოყენებული **კლიენტის** მიერ (მათ შორის **ანგარიშზე** არ განხორციელებულა ოპერაციები);

2.1.33. **ომნიბუს სერვერებზე ინფორმაცია** - ფინანსური ინსტრუმენტ(ებ)ის ანგარიში, რომელიც გამოიწვევს **ბანკის** საკუთარი **ფინანსური ინსტრუმენტ(ებ)ის** ანგარიშისაგან და გამოიყენება **ბანკის** კლიენტთა ბენეფიციარულ საკუთრებაში არსებული **ფინანსური ინსტრუმენტ(ებ)ის** ერთობლივად აღრიცხვისათვის;

2.1.34. **ფინანსური ინსტრუმენტ(ები)** - აქვს „საინფორმაციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მნიშვნელობა;

2.1.35. **სამართლიანი ღირებულება** - მეთოდი, რომლის საფუძველზეც დგინდება **ფინანსური ინსტრუმენტ(ებ)ის** ღირებულება. წინამდებარე პირობების მიზნებისათვის, **სამართლიანი ღირებულება** ასახავს **ბანკის** მიერ განხორციელებულ კომერციულად გონივრულ შეფასებას და იმ ფასს, რა ფასადაც **ბანკი** მიიღებს გადაწყვეტილებას შეისყიდოს ან გაყიდოს **ფინანსური ინსტრუმენტ(ები)**. იმ შემთხვევაში, თუ შესყიდვის ან გაყიდვის ფასი არ არის ხელმისაწვდომი, სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება **ბანკის** გონივრული შეფასებით.

2.1.36. **შეფასების მეთოდი** - იმ რეგულირებად საფონდო ბირჟაზე, რომელზეც ივაჭრება **ფინანსური ინსტრუმენტ(ები)**, კონკრეტული დღისთვის არსებული საბოლოო ფასი (დახურვის ფასი). იმ შემთხვევაში, თუ დახურვის ფასი არ არის ხელმისაწვდომი, **შეფასების მეთოდი** განისაზღვრება **ბანკის** გონივრული შეფასებით.

2.1.37. **კლიენტის უფლებამოსილი პირი** - **კლიენტის** ნებისმიერი წარმომადგენელი, რომელსაც **კლიენტის** მიერ მინიჭებული აქვს უფლებამოსილება შესაბამისი მინდობის სახით იმავდრო, როგორც ეს მოსალება **ბანკისთვის**.

2.1.38. **პერსონალური საბანკო მომსახურება** - ფიზიკური პირის საბანკო მომსახურების პირობებით განსაზღვრული პერსონალური საბანკო მომსახურება.

2.1.39. **პირი**- ნებისმიერი ფიზიკური პირი, ამხანაგობა, ბანკი, ერთობლივი საწარმო, ფირმა, კორპორაცია, კომპანია, ასოციაცია, ტრასტი ან სხვა იურიდიული პირი ან სამთავრობო სტრუქტურული ერთეული ან ნებისმიერი სააგენტო, დეპარტამენტი და სხვ.

2.1.40. **ფულადი სახსრები** - **კლიენტის** ფული, რომელიც **კლიენტის** მიერ, **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული **პირობებით**, **ფინანსური ინსტრუმენტ(ებ)ის** შესყიდვის მიზნით ჩაირიცხება **კლიენტის საბროკერო ანგარიშზე კლიენტის დავალების** შესაბამისად **ბანკის** მიერ **საბროკერო მომსახურებასთან** დაკავშირებული ნებისმიერი ოპერაციის განხორციელებამდე; ან/და 2. **ბანკმა** მიიღო სხვა პირებისგან **ფინანსური ინსტრუმენტ(ებ)ის** გაყიდვის ოპერაციის შედეგად, რომელიც განხორციელდა **ბანკმა კლიენტის დავალებ(ებ)ის** შესაბამისად. ამგვარი ფორმით **ბანკის** მიერ გადარიცხული ან/და მიღებული **ფულადი სახსრების ანგარიშზე** შეტანა და შენახვა ხორციელდება **ბანკის** მიერ **ბანკის** საკუთარი აქტივებისგან განცალკევებით.

2.1.41. **ვებ-გვერდი** - ბანკის საკუთრებაში არსებული ინტერნეტ გვერდი(ებ)ი, რაც შეუზღუდავად მოიცავს libertybank.ge

3. კლიენტის განცხადებები და ვარაუტები

3.1. **კლიენტი** წინამდებარე პირობებით გათვალისწინებულ **განაცხადზე** თანხმობის გამოხატვით ან/და **პირობებით** გათვალისწინებული **მომსახურებით** სარგებლობით აცხადებს თანხმობას, რომ:

3.1.1. **კლიენტს** აქვს სრული უფლებამოსილება (ან მიიღებს შესაბამის უფლებამოსილებას), იმისათვის, რომ ხელი მოაწეროს ან სხვა ფორმით დაეთანხმოს და შეასრულოს ამ **ხელშეკრულებით** ან ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით ან/და **განაცხადებით** გათვალისწინებული ვალდებულებები;

3.1.2. **კლიენტის** მიერ **ბანკისათვის განაცხადის** სახით ან სხვა რაიმე ფორმით წარდგენილი ინფორმაცია ზუსტი, უტყუარი და სრულია;

3.1.3. კლიენტი გაეცნო და ეთანხმება ფიზიკური პირის საბანკო მომსახურების ან ოურიდიული პირების საბანკო მომსახურების პირობებს (კლიენტის სტატუსის შესაბამისად), ეთანხმება მას და მის ნებისმიერ დანართს/ზანჯის მიერ დადგენილ ტარიფებს, რომლებიც განთავსებულია **ზანჯის ვებ-გვერდზე** www.libertybank.ge;

3.1.4. წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებული **ოპერაციების/დავალებების** შესრულებით არ დაირღვევა სხვა ხელშეკრულებების პირობები ან კლიენტის სხვა ვალდებულებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან რაიმე სახის კანონი, დებულება, წესი, განკარგულება, სასამართლო გადაწყვეტილება, ბრძანება, მითითება, სასამართლო დადგენილება ან სახელმწიფოს, სახელმწიფო ან მარეგულირებელი ორგანოს, სასამართლო ან საარბიტრაჟო ორგანოს მიერ დაწესებული რაიმე შეზღუდვა, რომლის დაცვაზეც პასუხისმგებელია კლიენტი. ამ ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრული **ოპერაციების/დავალების** შესრულება არ მოვა წინააღმდეგობაში ან არ დაარღვევს რაიმე სახის ხელშეკრულებას, კონტრაქტს, ლიცენზიას ან სხვა სახის შეთანხმებას, რომლის მხარესაც წარმოადგენს კლიენტი;

3.1.5. კლიენტი არ მონაწილეობს ან მას არ ემუქრება ისეთი სასამართლო პროცესი, რომელმაც შედეგად შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს მის ფინანსურ მდგომარეობას ან საქმიანობას ან/და მის მიერ ხელშეკრულების ან/და **ზანჯთან** დადებული სხვა ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე;

3.1.6. წინამდებარე ხელშეკრულების ან/და **ზანჯთან** დადებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულების დადებისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის იგი იცავს და დაიცავს ნებისმიერი ხელშეკრულების ან/და სხვა გარიგების პირობებს, ან/და სხვა ვალდებულებებს, რომელთა შეუსრულებლობამაც შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს კლიენტის მიერ ხელშეკრულებით ან/და **ზანჯთან** დადებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

3.1.7. წინამდებარე ხელშეკრულების ან/და **ზანჯთან** დადებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულების დადებისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის იგი იცავს და დაიცავს ნებისმიერი ხელშეკრულების ან/და სხვა გარიგების პირობებს, ან/და სხვა ვალდებულებებს, რომელთა შეუსრულებლობითაც შესაძლოა **ზანჯს** მიადგეს მატერიალური ან სხვა სახის ზიანი/ზარალი და დაიცავს **ზანჯს** ამგვარი სახის ზიანისაგან/ზარალისაგან.

3.1.8. წინამდებარე ხელშეკრულების ან/და **ზანჯთან** დადებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულების/გარიგების დადებისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის არ განახორციელებს იმგვარ ქმედებებს, რომელთა შედეგადაც შესაძლოა **ზანჯს** მიადგეს ნებისმიერი სახის ზიანი/ზარალი და ასეთი შედეგის დადგომის შემთხვევაში აცნობიერებს **ზანჯის** უფლებამოსილებას გამოიყენოს კანონმდებლობით ან/და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ღონისძიებები.

3.1.9. ხელშეკრულების ან/და **ზანჯთან** დადებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულების/გარიგების დადებისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის მისი მხრიდან ადგილი არ აქვს/ექნება არცერთი ქვეყნის **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ სამართალდარღვევებს (ადმინისტრაციული, სისხლის სამართლის და სხვა), მათ შორის და არამხოლოდ: ფულის გათეთრება, ტერორიზმი, ნარკოტიკული დანაშაული, დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ, დანაშაული კულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ, დანაშაული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წეს(ებ)ის წინააღმდეგ, დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ, დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი უსიამოვნო წინააღმდეგ, დანაშაული სამეცნიერო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ და ფულად-საკრედიტო სისტემაში.

3.1.10. არ წარმოადგენს **სანქციების დამდგენი ორგანოს** მიერ დაწესებული ნებისმიერი სანქციით ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი შეზღუდვით/აკრძალვით (მათში დროდადრო შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით) დასაწესებულ პირს;

3.1.11. მისი ქმედება არ არის/იქნება მიმართული **ზანჯის** მოტყუებისაკენ. აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით ხელშეკრულების ან/და **ზანჯთან** დადებული სხვა ხელშეკრულების დასაღებად ან მის საფუძველზე და შესასრულებლად, მის მიერ **ზანჯისათვის** წარდგენილი დოკუმენტები ან/და ინფორმაცია მისი წარმოდგენის მომენტისათვის ასევე არის/იქნება უტყუარი, ზუსტი და სრული. ამასთანავე, მისთვის ცნობილია, რომ ყალბი დოკუმენტების ან/და ინფორმაციის მიწოდება, **კანონმდებლობის** შესაბამისად წარმოადგენს დასჯად ქმედებას;

3.1.12. პირდაპირ ან არაპირდაპირ არ გადაუხდია ან მიუღია (ან ჩართულა რაიმე გარიგებაში, რომლის მიხედვითაც უნდა გადაიხადოს ან მიიღოს), ნებისმიერი უკანონო ან/და დაფარული გადასახადი, ქრთამი ან ანაზღაურება, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს ხელშეკრულებას ან/და **ზანჯთან** დადებულ სხვა ნებისმიერ ხელშეკრულებას.

3.1.13. კლიენტის მიერ ელექტრონული ფორმით გაკეთებულ თანხმობას (მაგ. ვერიფიცირებული მელის/ზანჯში დაფიქსირებული მელის) მეშვეობით დადასტურებას ან/და სხვა ქმედებას, რომელიც მკაფიოდ გამოხატავს **კლიენტის** ნებას) ან **მხარეთა** შორის ელექტრონული ფორმით დადებულ ნებისმიერ გარიგებას (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად აღნიშნული გარიგების დადებაზე ელექტრონული ფორმით ნების გამოვლენას/დათანხმებას) აქვს მატერიალური დოკუმენტის თანაბარი იურიდიული ძალა (მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა);

3.1.14. კლიენტი **დავალბასთან** ან/და ტრანზაქციებთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაეყრდნობა მხოლოდ საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას;

3.1.15. კლიენტი თანხმობს ან **ხელშეკრულებით** და დამატებითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია **ზანჯმა კლიენტს** მიწოდოს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (**კლიენტის ვერიფიცირებულ მელზე/ზანჯში დაფიქსირებულ მელზე**) ან განათავსოს **ზანჯის ვებ-გვერდზე**, მათ შორის ინგლისურ ენაზე.

3.1.16. კლიენტი აცნობიერებს, რომ **ზანჯმა** შესაძლებელია ვერ უზრუნველყოს **კლიენტის დავალების** სრულად ან ჯეროვნად შესრულება და **ზანჯი** არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი მისგან დამოუკიდებელი საფუძველით **კლიენტის დავალების** შეუსრულებლობაზე;

3.1.17. კლიენტი აცნობიერებს, რომ **კლიენტის** სახელით **დავალების** შესრულება შესაძლოა **კლიენტისთვის** იყოს ზარალიანი ან მომგებიანი. ამასთან, **ზანჯი** არ არის პასუხისმგებელი **დავალების** შედეგზე, რომელსაც **ზანჯი** განახორციელებს ამ **ხელშეკრულების** ან/და დამატებითი ხელშეკრულების საფუძველზე;

3.1.18. კლიენტი აცნობიერებს, რომ ამ **ხელშეკრულებით** ან/და დამატებითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული **მომსახურება**, მათ შორის **ფინანსურ ინსტრუმენტ(ებ)თან** დაკავშირებული ინვესტიციები მაღალი რისკის მატარებელია და საჭიროებს გარკვეული ვარაუდების გაკეთებას, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ინვესტიციაზე ამონაგების მიღების შეზღუდვა ან/და **კლიენტისათვის** სხვა არახელსაყრელი შედეგი. ამასთან, **ზანჯი** არ არის პასუხისმგებელი ამგვარი **მომსახურების** შედეგებზე;

3.1.19. კლიენტი აცნობიერებს, რომ არასაბირჟო პროდუქტებით ვაჭრობა (მათ შორის შეზღუდვად, კონტრაქტი ფასთა შორის სხვაობაზე (CFD), ფიუჩერსები (Futures) და ოფციონები (Options)) დაკავშირებულია მაღალ რისკებთან სპეკულატიური ან/და არასტაბილური ბაზრებისა და მათზე არსებული მხარის (ლევერიჯის) გამო. ამ ან მსგავსი პროდუქტებით ვაჭრობამ შესაძლოა გამოიწვიოს **კლიენტის** ანგარიშზე არსებულზე მეტი **ფულადი სახსრების** დაკარგვა. **კლიენტს** აცნობიერებული აქვს აღნიშნულთან დაკავშირებული რისკები. ამასთან, **ზანჯი** არ არის პასუხისმგებელი მსგავსი **მომსახურების** შედეგებზე. **კლიენტს** აცნობიერებული აქვს, რომ **საბროკერო ანგარიშზე ფულადი სახსრების** უარყოფითი ბალანსი წარმოადგენს მის ვალდებულებას **ზანჯის** წინაშე. უარყოფითი ბალანსის არსებობის შემთხვევაში, **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს შესაბამისი თანხის გადარიცხვა **საბროკერო ანგარიშზე**;

3.1.20. აღნიშნული განცხადებები და გარანტიები ძალაშია ამ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მიუხედავად **ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა.

3.1.21. კლიენტი აცნობიერებს, რომ კომუნიკაციისათვის დამახასიათებელი დაყოვნების გამო, აგრეთვე, რეალურ დროში ფასის ჩვენების გამოწერის არარსებობის გამო, **დავალება** შესაძლოა განხორციელდეს ნაჩვენებ კოტირებაზე უარეს ფასად (მათ შორის თუ სხვა **კლიენტის დავალებას** უკვე დაკავებული აქვს მთლიანი მოცულობა ნაჩვენებ კვოტირ, ან მაშინ როდესაც **კლიენტის დავალების** გადგემისას კვოტა არის განახლების პროცესში), განსაკუთრებით **კლიენტის** მიერ საბაზრო ორდერების გამოყენების შემთხვევაში. **კლიენტს** აცნობიერებული აქვს აღნიშნულთან დაკავშირებული რისკები. ამასთან, **ზანჯი** არ არის პასუხისმგებელი მსგავსი **მომსახურების** შედეგებზე;

3.1.22. მას აქვს საკმარისი ცოდნა და გამოცდილება ფინანსურ და ბიზნეს საკითხებთან, ასევე **საბროკერო მომსახურების** ფარგლებში **ზანჯისთვის** მიცემულ **დავალბასთან** დაკავშირებით. მას უნარი შესწევს შეაფასოს **კლიენტის** ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე გარიგების არსი, რისკები და შესაფასილობა. **კლიენტი** აცნობიერებს და თანხმობას აცხადებს მასზე, რომ მან იცის, აცნობიერებს და შეუძლია იცისროს გარიგებასთან დაკავშირებული რისკები. **კლიენტი** ადასტურებს, რომ მას საკმარისად მიუწვდება ხელი ინფორმაციაზე და რომ მან კონსულტაცია გაიარა საკუთარ ოურიდიულ, საგადასახადო, ბიზნეს, საინვესტიციო, ფინანსურ მრჩეველთან და ბუღალტრებთან იმ ოდენობით, რასაც იგი თვლის აუცილებლად და გარიგების დადების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო/მიიღებს საკუთარი (**კლიენტის**) დასკვნებიდან და ასეთი კონსულტანტების რჩევებიდან გამომდინარე და არა **ზანჯის** მიერ გამოხატული ნებისმიერი შეხედულებებიდან გამომდინარე;

3.1.23. კლიენტი აცნობიერებს, რომ **ზანჯის** მიერ **კლიენტისთვის** ამ **ხელშეკრულების** ან/და დამატებითი ხელშეკრულების საფუძველზე მიწოდებული ან/და **ვებ-გვერდზე** განთავსებული ინფორმაციის/მონაცემების ან/და დოკუმენტების გადაცემა არ ჩაითვლება შეთავაზებად, რეკომენდაციად, რაიმე ტიპის რჩევად ან ინვესტიციების ყიდვა-გაყიდვის წინადადებად (მიუხედავად ინფორმაციული წყაროს სანდოობისა) და ექნება მხოლოდ საინფორმაციო ან/და მარკეტინგული ხასიათი.

3.2. კლიენტი ყველანაირი საშუალებით უზრუნველყოფს, რომ მასთან დაკავშირებულმა პირებმა (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს მის **უფლებამოსილი პირ(ებ)ს**) ამ **ხელშეკრულების** მთლიანი ვადის განმავლობაში არ განახორციელონ ისეთი ქმედება, რომელიც გამოიწვევს წინამდებარე დოკუმენტში მოყვანილი გარანტიების დარღვევას.

3.3. ამ **ხელშეკრულების** ძალაში შესვლის შემდეგ **კლიენტი** დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს **ზანჯს** ისეთი გარემოებების შესახებ, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ამ **ხელშეკრულებას** მოცემული გარანტიების დარღვევა ან წინააღმდეგობაში მოვიდეს აღნიშნულ განცხადებებთან.

3.4. კლიენტი დაუყოვნებლივ აცნობებს **ზანჯს** მიწოდებულ ინფორმაციაში (მათ შორის **განაცხადის** ფორმაში) ნებისმიერი ცვლილებების და შესწორებების შესახებ. რაც მათ შორის მოიცავს იმ **პირების** ცვლილების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რომლებსაც აქვთ **კლიენტის ვერიფიცირებული მელის/ზანჯში დაფიქსირებული მელის** მართვის ან/და **ანგარიშების** შესახებ ინფორმაციის

მიღების უფლება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ამგვარ შეტყობინებას კლიენტმა უნდა დაუთოს შესაბამისი დოკუმენტები **ბანკისთვის** მისაღები ფორმითა და მოცულობით. **ბანკი** უფლებამოსილია ცვლილებების შესახებ შეტყობინებისა და თანდართული დოკუმენტების მიღებამდე, შესარულოს **დავალებები** და ტრანზაქციები იმ დოკუმენტების და ხელმოწერის ნიმუშების საფუძველზე, რომელიც მას ცვლილებებთან დაკავშირებული შეტყობინების მიღებამდე წარედგინა.

3.5. **კლიენტი** მოთხოვნისთანავე წარუდგენს **ბანკს** ამ **პირობებით** ან/და **ხელშეკრულების** შემადგენელი დოკუმენტის ან/და **კანონმდებლობის** საფუძველზე, მოთხოვნილ ინფორმაციას ან/და დოკუმენტ(ებ)ს;

3.6. **ბანკის** მოთხოვნის საფუძველზე, **კლიენტი** დაუყოვნებლივ წარმოადგენს ხელმოწერილ ორიგინალ დოკუმენტ(ებ)ს ან მათ სათანადო წესით დამოწმებულ ასლ(ებ)ს, რომლებიც დაკავშირებულია ამ **პირობებით** ან/და **ხელშეკრულების** შემადგენელი სხვა დოკუმენტებით გათვალისწინებულ **დავალბასთან**. ამასთან, **კლიენტი** პასუხისმგებელია წარმოდგენილი და მიწოდებული დოკუმენტების ნამდვილობაზე, სიზუსტესა და კანონიერებაზე.

3.7. **კლიენტი** გადაამოწმებს თითოეული დოკუმენტის შინაარსს, მათ შორის იმ დოკუმენტების, რომლებსაც **ბანკი** მას უგზავნის ელექტრონული ფორმით. **კლიენტი** არ არის უფლებამოსილი **ბანკისგან** გარიგების დადასტურების მიღებამდე **დავალბასთან** დაკავშირებული მოლაპარაკებები მიიჩნიოს დასრულებულად და **ბანკის** მიერ სავალდებულოდ შესასრულებლად.

3.8. **კლიენტს** სრულად გააზრებული აქვს 3.1.16-3.1.23 პუნქტებში მოცემული და განსაზღვრული რისკები და **კლიენტს** აქვს სურვილი და შესაძლებლობა მიიღოს **საბროკერო მომსახურება**.

3.9. აღნიშნული განცხადებებისა და გარანტიების დარღვევის შემთხვევაში (რითაც არ იზღუდება **ბანკის** უფლება მოიხიზოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც გამოწვეული იქნება გარანტიების ამგვარი დარღვევით), თუ **კლიენტი** ვერ შეძლებს ამ დარღვევის აღმოფხვრას დარღვევის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) **სამუშაო დღის** განმავლობაში, **კლიენტი** თანახმაა **ბანკს** აუნაზღაუროს და დაიცვას **ბანკი** ნებისმიერი ზარალისაგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებსაც **ბანკი** გაიღებს საკუთარი უფლებების განსახორციელებლად), იურიდიული პროცესისაგან და ნებისმიერი სხვა ვალდებულებისაგან, რომელიც ამგვარი დარღვევის შედეგად შეიძლება წარმოიშვას. წინამდებარე პუნქტის მიზნების უზრუნველსაყოფად **კლიენტი** აცნობიერებს **ბანკის** უფლებამოსილებას წინასწარი შეტყობინების გარეშე დაბლოკოს/დახუროს **ბანკში** არსებული **კლიენტის** ნებისმიერი ანგარიში, მათ შორის, **საბროკერო ანგარიში**, დაბლოკოს/დაბლოკოს/ჩამოწეროს თანხები **ბანკში** არსებული **კლიენტის** ნებისმიერი ანგარიშიდან, მათ შორის, **საბროკერო ანგარიში** და მიმართოს აღნიშნული თანხები სხვა/მესამე პირების ან **ბანკის** წინაშე არსებული დავალიანებების დასაფარად (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II

4. მომსახურების წესი და პირობები

4.1. **ხელშეკრულებითა** და წინამდებარე **პირობების** შესაბამისად, **კლიენტის** **დავალბების** საფუძველზე, **ბანკი** უფლებამოსილია, გონივრული ძალისხმევით გაიმყენებინოს, გაუწიოს **კლიენტს** შემდეგი **საბროკერო მომსახურება**:

4.1.1. **ბანკი** უფლებამოსილია უზრუნველყოს **კლიენტისთვის** **ფინანსური ინსტრუმენტ(ებ)ის** ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდება. აღნიშნული მიზნით, **ბანკი**, კომერციულად გონივრული ძალისხმევით, უფლებამოსილია:

4.1.1.1. უზრუნველყოს **კლიენტის** **დავალბაში** აღნიშნული **ფინანსური ინსტრუმენტ(ებ)ის** შესყიდვა;

4.1.1.2. უზრუნველყოს შესყიდული **ფინანსური ინსტრუმენტ(ებ)ის** კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით აღრიცხვა/დარეგისტრირება;

4.1.1.3. უზრუნველყოს **კლიენტის** **დავალბით** **ფინანსური ინსტრუმენტ(ებ)ის** გაყიდვა, სხვა ფორმით გასხვისება ან/და სხვა პირობისთვის გადასცემა;

4.1.1.4. საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვროს **დავალბების** საფუძველზე განსახორციელებელი ტრანზაქციის ან/და ოპერაციის/გარიგების მეორე მხარე, გარდა სავაჭრო პლატფორმის მეშვეობით გაგზავნილი **დავალბების** შემთხვევაში;

4.1.1.5. ტრანზაქციები/ოპერაციები/გარიგებები აწარმოოს საკუთარი სახელით, საპირისპირო **დავალბების** არარსებობის შემთხვევაში, **ბანკის** მიერ მიღებული ნებისმიერი თანხა (მათ შორის ნებისმიერი სხვა პირისგან **ფინანსური ინსტრუმენტების** გაყიდვით მიღებული შემოსავალი, პროცენტი, დივიდენდები და სხვ.) განათავსოს **კლიენტის** შესაბამის **საბროკერო ანგარიშზე**.

4.2. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტს** გაუწიოს ანგარიშის მწარმოებლის/ნომინალური მფლობელის მომსახურება შემდეგი პირობების დაცვით:

4.2.1. **კლიენტი**, როგორც **ფინანსური ინსტრუმენტ(ებ)ის** ბენეფიციარი მსაკუთარი, თანახმაა, რომ **ფინანსური ინსტრუმენტ(ებ)ი** აღრიცხვოს/დარეგისტრირდეს **ინდივიდუალურ სერვერებზე ანგარიშზე** ან **ომნისუს სერვერებზე ანგარიშზე** ან/და **ბანკის**, როგორც ანგარიშის მწარმოებლის/ნომინალური მფლობელის სახელით, **ბანკის** მიერ საკუთარი შეხედულებით შეჩვენებული შესაბამისი სადეპოზიტარო ან/და **ფინანსური ინსტრუმენტების** საკლირინგო და შემნახველ ორგანიზაციაში (ქსთოლიანი);

4.2.2. **ფინანსური ინსტრუმენტებთან** დაკავშირებით ყველა დივიდენდს, კუპონს (პროცენტი) ან/და **კლიენტის** სხვა **ფულადი სახსრებს** (ასეთის არსებობის შემთხვევაში), **ბანკი** გონივრულ ვადაში განათავსებს **კლიენტის საბროკერო ანგარიშზე**. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია აღნიშნული დივიდენდები და პროცენტები გამოიყენოს **კლიენტის** **დავალბების**, წინამდებარე **პირობებით** ან **ხელშეკრულების** შემადგენელი სხვა დოკუმენტით გათვალისწინებული პირობების შესასრულებლად.

4.2.3. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტს** გაუწიოს **ანგარიშებთან** დაკავშირებული მომსახურება შემდეგი პირობების დაცვით: **ბანკი** უფლებამოსილია გაუგზავნოს **კლიენტს** აქტიური ანგარიშ(ებ)ის (ანგარიში, რომელიც არ არის **უმობრაო ანგარიში**) ყოველთვიური ამონაწერი, ყოველი თვის დასრულებიდან არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში; **კლიენტის** მოთხოვნით, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტს** გაუგზავნოს დამატებითი **ამონაწერები**. **კლიენტის** სახელზე **ფინანსური ინსტრუმენტ(ებ)ის** არსებობის შემთხვევაში, **ბანკი** შეფასების მეთოდის საფუძველზე გამოითვლის მათ ღირებულებას;

4.2.4. **უმობრაო ანგარიშის** სტატუსის არსებობის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია, **კლიენტის** შეტყობინების გარეშე დახუროს ასეთი **ანგარიშ(ებ)ი**;

4.2.5. 6 (ექვსი) თვის განმავლობაში, **კლიენტის** **ანგარიშ(ებ)ზე** ნულოვანი ნაშთის ან **საბროკერო მომსახურების** გაწვევისათვის არასაკმარისი თანხების არსებობის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებით, **კლიენტის** შეტყობინების გარეშე შეაჩეროს ამ **პირობებით** ან/და **ხელშეკრულების** შემადგენელი

დოკუმენტით გათვალისწინებული **საბროკერო მომსახურება** **კლიენტის** მიერ საჭირო სახსრების ანგარიშ(ებ)ზე განთავსებამდე.

4.3. **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, ტრანზაქციის მახასიათებლების გათვალისწინებით, დანიშნოს აგენტ(ებ)ი **ფინანსური ინსტრუმენტ(ებ)ით** ვაჭრობის, შენახვის, აღრიცხვისა და მათი დარეგისტრირებისათვის და აღნიშნულ პირებს, **კლიენტის** წინასწარი ან შემდგომი თანხმობის გარეშე, გადასცეს **ბანკის** მიერ ამ **პირობებით** ან/და **ხელშეკრულების** შემადგენელი სხვა დოკუმენტით ნაკისრი ფუნქციები. ორგანიზაციების გამოსარიცხად, ნებისმიერი ასეთი გადაცემა არ შეიძლება განიმარტოს, როგორც **ბანკის** უარი ამ **პირობებით** ან/და **ხელშეკრულების** შემადგენელი სხვა დოკუმენტით მისთვის მინიჭებულ უფლებებზე.

4.4. **ბანკი** უზრუნველყოფს წინამდებარე **პირობების** შესაბამისად **დავალბების** შესრულებას, მიუხედავად მას შემდეგ, რაც **ბანკი** დადასტურებს კონკრეტული **დავალბების** მიღებას და საკუთარი შეხედულებისამებრ და სრული დისკრეციის **დავალბების** დათანხმდება/დადასტურებს **დავალბების** შესრულებას.

4.5. **საბროკერო მომსახურების გაწვევის წესი:**

4.5.1. კონკრეტული **საბროკერო მომსახურების** მიღების სურვილს **კლიენტი** აფიქსირებს წინამდებარე **პირობების** 2.1.10 პუნქტით განსაზღვრული **დავალბების ბანკისათვის** მისაღები ფორმით გაგზავნილ გზით. **დავალბა ბანკს** წარედგინება შემდეგი არხით:

4.5.1.1. **ვერტიკალიზებული მილი-** ფიზიკური პირის შემთხვევაში;

4.5.1.2. **ბანკში დაფიქსირებული მილი-** იურიდიული პირის შემთხვევაში;

4.5.1.3. **ინტერნეტ ბანკი-** ფიზიკური პირის შემთხვევაში, რომელიც სარგებლობს პერსონალური საბანკო მომსახურებით.

4.5.2. **კლიენტის** მიერ გაგზავნილი **დავალბა**, სულ მცირე, უნდა შეიცავდეს წინამდებარე **პირობების** 2.1.11 პუნქტით განსაზღვრულ **სავალდებულო რეკვიზიტებს**.

4.5.3. **ბანკი** **კლიენტის** მიერ **პირობების** ან/და **ხელშეკრულების** შემადგენელი რომელიმე/ნებისმიერი დოკუმენტის პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, უფლებამოსილია **კლიენტის** **დავალბების** მიღებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) **სამუშაო დღის** ვადაში მოამზადოს და მიაწოდოს **კლიენტს** შესაბამისი **დავალბების** მიღების დადასტურება.

4.5.4. ამ **პირობების** 4.5.2 პუნქტის გათვალისწინებით და **კლიენტის** **ანგარიშზე**, **დავალბების** შესაბამისი **ფულადი სახსრების** არსებობის შემთხვევაში, **ბანკი** დაიწყებს **კლიენტის** **დავალბების** შესრულებას. **კლიენტის** **ანგარიშზე**, **დავალბების** შესასრულებლად შესაბამისი **ფულადი სახსრების** არარსებობის შემთხვევაში, **ბანკი** თავისუფლდება **დავალბების** შესრულების ვალდებულებისგან;

4.5.5. **ბანკი** **დავალბების** შესრულებიდან და შესაბამისი ანგარიშსწორებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) **სამუშაო დღისა**, **კლიენტს** უგზავნის შესაბამისი **გარიგების** დადასტურებას.

4.5.6. **ბანკისგან** მიღებულ **ამონაწერებში**, **გარიგების** დადასტურებაში ან/და სხვა შეტყობინებაში/ინფორმაციაში შევდომის (უზუსტობის) ან განსხვავების არსებობის შემთხვევაში, **კლიენტი** ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ შეატყობინოს **ბანკს**. **კლიენტის** მიერ, **ამონაწერის/გარიგების** დადასტურების/ინფორმაციის მიღებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) **სამუშაო დღის** ვადაში, შეტყობინების განუხორციელებლობის შემთხვევაში, **კლიენტი** უარს აცხადებს შევდომის (უზუსტობის) ან განსხვავების შესახებ მოდევნების უფლებაზე და ამგვარი ინფორმაცია/მონაცემი ჩაითვლება სწორად.

4.5.7. **ბანკი** განსახორციელებს **კლიენტის** **დავალბების** შესრულების სათანადო აღრიცხვას.

4.5.8. ამ **პირობების** ან **ხელშეკრულების** შემადგენელი სხვა დოკუმენტის ფარგლებში, არასამუშაო საათებში/დღეებში მიღებულ **კლიენტის** **დავალბას** **ბანკი** განიხილავს მოდერნო **სამუშაო დღის**. წინამდებარე პუნქტის მიზნებისთვის

საბროკერო მომსახურების პირობები

სამუშაო საათებზე მიიჩნევა **სამუშაო დღის** პერიოდი 10:00 საათიდან 18:00 საათამდე.

4.6. **ბანკი უფლებამოსილია:**

4.6.1. **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** ან/და **ბანკთან** არსებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულებებით (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად საკრედიტო ან/და უზრუნველყოფის ხელშეკრულებებით) ნაკისრი ვალდებულებების (მათ შორის წინამდებარე **ხელშეკრულების** მე-3 მუხლში მოცემული განცხადებებისა და გარანტიების) შესრულების უზრუნველსაყოფად ან აღნიშნული შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დაბლოკოს/დახუროს **კლიენტის საბროკერო ანგარიში**, დაბლოკოს/დაბროსონ/ჩამოიწეროს თანხები **კლიენტის საბროკერო ან/და ბანკში** არსებული სხვა ანგარიშ(ებ)იდან;

4.6.2. **ბანკის/ბანკის** სხვა კლიენტების ან/და მესამე პირების ინტერესების დასაცავად, დაბლოკოს/დახუროს **ბანკში** არსებული **კლიენტის** ნებისმიერი, მათ შორის **საბროკერო**, ანგარიში, დაბლოკოს/დაბროსონ/ჩამოიწეროს თანხები, შეაჩეროს კონკრეტული **ტრანზაქციები** თუ **ბანკს** გააჩნია ეჭვი/ბანკისთვის ცნობილი გახდა, რომ:

4.6.2.1. **კლიენტი** არღვევს საქართველოს ან სხვა ნებისმიერი ქვეყნის კანონმდებლობას (მათ შორის ფულის გათიერებისა და ტერორიზმის დაფინანსების აკვეციის ხელშეწყობის შესახებ კანონის დანაწესებს);

4.6.2.2. **კლიენტი**, **კლიენტის** სახელით მოქმედი პირი ან/და **კლიენტთან** პირადი, ნათესაური, საქმიანი ან/და სხვაგვარად **ბანკის** შეხედულებისამებრ დაკავშირებული სხვა პირ(ებ)ი წარმოადგენს/ენს **სანქციების დამდგენი ორგანოს** მიერ სანქცირებულ პირ(ებ)ს ან/და არსებობს სანქცირებულ პირთა სიაში მისი/მათი მოხვედრის საფრთხე;

4.6.2.3. **კლიენტი** ახორციელებს საქმიან ურთიერთობას ისეთ პირთან რომელიც (მათ შორის მის სადამფუძვლებლო სტრუქტურაში შემავალი პირ(ებ)ი, აღმასრულებელი პირ(ებ)ი, ბენეფიციარი მესაკუთრე(ებ)ი, მისი სახელით მოქმედი პირ(ებ)ი ან/და სხვაგვარად დაკავშირებული პირ(ებ)ი) წარმოადგენს/ენს **სანქციების დამდგენი ორგანოს** მიერ სანქცირებულ პირ(ებ)ს ან/და არსებობს სანქცირებულ პირთა სიაში მისი/მათი მოხვედრის საფრთხე;

4.6.2.4. **კლიენტის** ნებისმიერი ქმედება გამოიწვევს (ან შეიძლება გამოიწვიოს) **ბანკის** შიდა პროცედურებით ან/და პოლიტიკით განსაზღვრული წესების დარღვევას და შედეგად მატერიალური ან ნებისმიერი სახის ზიანის/ზარალის მიყენებას **ბანკისათვის**;

4.6.2.5. შესაძლოა აღნიშნული თანხები გახდეს სადავო **კლიენტსა** და მესამე პირებს შორის, რამაც შესაძლოა **ბანკისთვის** გამოიწვიოს ზიანის/ზარალის მიყენება.

4.6.3. იმოქმედოს **სანქციების დამდგენი ორგანოს** მიერ დაწესებული შესაბამისი სანქციების მიხედვით (მათ შორის, იმ შემთხვევაშიც თუ **სანქციების დამდგენი ორგანოს** გადაწყვეტილება(ებ)ი/მითითება(ებ)ი სავალდებულოდ შესასრულებელი არ არის **ბანკისთვის**) და განახორციელოს **სანქციების დამდგენი ორგანოს** მიერ განსაზღვრული ან/და შესაბამისი სანქციით გათვალისწინებული/მოთხოვნილი ნებისმიერი და ყველა ქმედება(ებ)ი. წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული ქმედების განხორციელება არ ჩაითვლება **ბანკის** მიერ **პირობებით** ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების დარღვევად და არ გამოიწვევს **ბანკის** პასუხისმგებლობას **კლიენტის** წინაშე;

4.6.4. საკუთარი შეხედულებისამებრ, არ შეასრულოს **კლიენტის** რომელიმე კონკრეტული ან ყველა **დავალბება**, იმ შემთხვევაში, თუ **ბანკის** შეფასებით არსებობს რისკი, რომ აღნიშნული **დავალბების** შესრულება გამოიწვევს **სანქციების დამდგენი ორგანოს** ნებისმიერი გადაწყვეტილება(ებ)ის/მითითება(ებ)ის/რეკომენდაცი(ებ)ის დარღვევას, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, თუ ამგვარი გადაწყვეტილება/მითითება/რეკომენდაცია არ არის **ბანკისთვის** სავალდებულოდ შესასრულებელი;

4.6.5. საკუთარი შეხედულებისამებრ, ჩაატაროს გადლიერებული პრევენციული ღონისძიებები **კლიენტის**, **კლიენტის** სახელით მოქმედი პირ(ებ)ის ან/და

კლიენტთან დაკავშირებული სხვა პირ(ებ)ის იდენტიფიკაციისა და სანდო და დამოუკიდებელ წყაროზე დაყრდნობით მისი/მათი ვერიფიკაციისთვის. ასევე, კონკრეტული **დავალბების** მიზნისა და წარმომავლობის დასადგენად. აღნიშნული მიზნით **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, **კლიენტისგან** ან/და ნებისმიერი მესამე პირ(ებ)ისგან მიიღოს ან/და შესაბამის უფლებამოსილ პირ(ებ)ს (მათ შორის, შეხელდების გარეშე, ზედამხედველ/მაკონტროლებელ ორგანოს) გადასცეს **კლიენტ(ებ)თან**, **კლიენტის** სახელით მოქმედ პირ(ებ)თან, **კლიენტთან** დაკავშირებული სხვა პირ(ებ)თან ან/და **კლიენტის** მიერ/სასარგებლოდ ინიცირებულ **დავალბებასთან** დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია;

4.6.6. საკუთარი შეხედულებისამებრ, შეაჩეროს/შეზღუდოს კონკრეტული **დავალბების** შესრულება ან/და დაბლოკოს/დახუროს **კლიენტის** ნებისმიერი ანგარიში, მათ შორის **საბროკერო ანგარიში**, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული **დავალბების** შესრულება ან/და **კლიენტისთვის** მომსახურების გაწევა **ბანკს** შეუქმნის საფრთხეს/დაბროკერობას სხვა ფინანსურ ინსტიტუტ(ებ)თან, საგადახდო სისტემას(ებ)თან, საგადახდო მომსახურების პროვაიდერ(ებ)თან, მარეგულირებელ/მაკონტროლებელ ორგანოს(ებ)თან ან/და **ბანკის** სხვა პარტნიორ(ებ)თან/კონტრაქტორ(ებ)თან/ზედამხედველ(ებ)თან ურთიერთობაში;

4.6.7. საკუთარი შეხედულებისამებრ, შეაჩეროს/შეზღუდოს კონკრეტული **დავალბების** შესრულება ან/და დაბლოკოს/დახუროს **კლიენტის** ნებისმიერი ანგარიში, მათ შორის **საბროკერო ანგარიში**, იმ შემთხვევაში თუ **სანქციების დამდგენი ორგანოს** ნებისმიერი გადაწყვეტილების/მითითების/რეკომენდაციის (იმ შემთხვევაშიც, თუ ამგვარი გადაწყვეტილება/მითითება/რეკომენდაცია არ არის **ბანკისთვის** სავალდებულოდ შესასრულებელი) შედეგად **ბანკი** მოკლებულია შესაძლებლობას მიიღოს/დაამუშაოს/შეასრულოს **კლიენტის** მიერ/სასარგებლოდ ინიცირებული **დავალბება(ებ)ი** ან/და გაუწიოს **კლიენტს** ნებისმიერი სახის **საბროკერო მომსახურება**.

4.6.8. **კლიენტის ბანკში** არსებული ნებისმიერი ანგარიშიდან, მათ შორის **საბროკერო ანგარიშიდან**, უაქცეპტოდ ჩამოიწეროს ყველა გადასახდელი/გადასახადი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად **ბანკში** დადგენილი საკომისიო მოსაკრებლები), საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახდელი/გადასახდელი, შევცდომით ჩარიცხული თანხები, ზიანის/ზარალის ანაზღაურების თანხები) და მიმართოს ისინი **ბანკის** ან/და მესამე პირების წინაშე არსებული ვალდებულებების დასაფარად/შესამცირებლად;

4.6.9. **კლიენტი** პასუხისმგებელია ყველა **ოპერაციაზე**, რომელიც განხორციელდა **ანგარიშზე** როგორც მის დახურვამდე ასევე მისი დახურვის შემდეგ.

4.7. **უარი ფულადი სახსრების მიღებაზე**. **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი გადაწყვეტილებით ან/და **კანონმდებლობით** გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას არ მიიღოს **ანგარიშზე** შენატანი ან/და დახუროს **ანგარიში**.

4.8. **უარი ფულადი სახსრების გატანაზე**. **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი გადაწყვეტილებით ან/და **კანონმდებლობით** გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას უარი განუცხადოს **კლიენტს ფულადი სახსრების საბროკერო ანგარიშიდან** მიმდინარე ანგარიშზე გადატანაზე.

4.9. **კლიენტის** მხრიდან ახალი **ანგარიშის** გახსნის ან უკვე დახურული **ანგარიშის** აღდგენის გახსნის / გააქტიურების მოთხოვნის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, უარი განუცხადოს **კლიენტს** თხოვნაზე ან შესასრულოს იგი მხოლოდ (ა) **კლიენტის** მხრიდან **ბანკისადმი** არსებული დავალიანების სრულად დაფარვის ან/და (ბ) ახალ გახსნილ **ანგარიშზე** ძველი **ანგარიშის** შეზღუდვების/ვალდებულებების გაგრძელების პირობით.

ნაწილი III

5. საბროკერო მომსახურების ტარიფები

5.1. **კლიენტის** და **ბანკის** ფინანსური ურთიერთობა სრულად რეგულირდება **ბანკის** მიერ დადგენილი **ტარიფებით**.

5.2. **კლიენტი ბანკს** უხდის საკომისიოს **პირობებით** განსაზღვრული **მომსახურებით** სარგებლობისას, მათი გამოყენების დროისათვის **ბანკის** მიერ დადგენილი **ტარიფების** შესაბამისად.

5.3. **კლიენტი** ვალდებულია, ამ **პირობების** ან/და **ხელშეკრულების** შემადგენელი სხვა დოკუმენტის ფარგლებში გაწეული ან/და გასაწევი მომსახურების საფასური, **დავალბებასთან** დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯი (რაც რაც მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება **დავალბებით** განსაზღვრული **გარიგების** ღირებულებით) და დამატებითი გადასახდელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წინასწარ განათავსოს **საბროკერო ანგარიშზე ბანკში** დადგენილი წესებისა და პროცედურის შესაბამისად.

5.4. **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს მოქმედი **ტარიფები**. **ბანკის** მიერ დადგენილი **ტარიფების** ცვლილების შემთხვევაში, **კლიენტს** აღნიშნულის შესახებ ეცნობება წინასწარ **ვერიფიცირებულ ნომერზე** ან **ვერიფიცირებულ/ბანკში დაფიქსირებულ მელზე** ინფორმაციის გაგზავნის გზით.

5.5. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის საბროკერო ანგარიშიდან** ან/და **ბანკში** გახსნილი **კლიენტის** სხვა ანგარიშ(ებ)იდან უაქცეპტო წესით ჩამოიწეროს **მომსახურების ტარიფები**.

5.6. **საბროკერო მომსახურების** საკომისიოს ჩამოწერა ხორციელდება **კლიენტის საბროკერო ანგარიშიდან**, ან/და **კლიენტის ბანკში** გახსნილი სხვა ანგარიშ(ებ)იდან, მათ შორის კონვერტაციის გზით, კონვერტაციის დღეს **ბანკის კომერციული გაცვლითი კურსის** შესაბამისად.

5.7. **კლიენტის** მიერ რომელიმე მომსახურების საკომისიოს გადაუხდელობა **ბანკს** ანიჭებს უფლებას შეუწეროს ან შეუწყვიტოს წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული **მომსახურება**.

5.8. **კლიენტის** მიერ **ბანკის** მიმართ არსებული დავალიანებისას, გადასახდელი თანხა იფარება **ბანკის** შეხედულებით განსაზღვრული თანმიმდევრობით.

5.9. **კლიენტი** ვალდებულია აანაზღაუროს ამ **პირობებით** ან/და **ხელშეკრულების** შემადგენელი სხვა დოკუმენტით განსაზღვრული **გარიგების/მეთანხმების/ხელშეკრულების** დადებასთან, დამოწმებასთან, რეგისტრაციასთან, შესრულებასთან და გაუქმებასთან დაკავშირებული ყველა და ნებისმიერი ხარჯი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

5.10. **ბანკი** უფლებამოსილია, **კლიენტის** ვალდებულებების შესრულების მიზნით (მათ შორის, **დავალბებიდან** გამომდინარე სხვა პირ(ებ)ის წინაშე ნაკისრი

საბროკერო მომსახურების პირობები

ვალდებულებების შესასრულებლად, საკუთარი შეხედულებებით, კლიენტის წინასწარი ან შემდგომი თანხმობის გარეშე (უაქცეპტო წესით), ჩამოწეროს თანხები კლიენტის ნებისმიერი ანგარიშიდან, მათ შორის საბროკერო ანგარიშიდან, და გადაიციოს დავალების შესასრულებლად შესაბამის ანგარიშზე.

5.11. კლიენტის ანგარიშზე საკმარისი თანხების არარსებობის შემთხვევაში, კლიენტი თანახმაა ბანკის უფლებამოსილებას, საკუთარი შეხედულებებით, კლიენტის წინასწარი ან შემდგომი თანხმობის გარეშე (უაქცეპტო წესით), გაყიდოს კლიენტის სახელზე არსებული კლიენტის ფინანსური ინსტრუმენტ(ებ)ი და ამონაგები თანხით დაიკმაყოფილოს ამ პირობებით ან/და ხელშეკრულების შემადგენელი სხვა დოკუმენტით გათვალისწინებული ნებისმიერი მოთხოვნა.

5.12. წინამდებარე პირობებით ან/და ხელშეკრულების შემადგენელი სხვა დოკუმენტით გათვალისწინებული ნებისმიერი საბროკერო მომსახურების გაუქმების, შეჩერების ან/და შეწყვეტის შემთხვევაში, კლიენტის მიერ ბანკისთვის ასეთ გაუქმებამდე, შეჩერებამდე ან/და შეწყვეტამდე გადახდილი მომსახურების საფასური არ ანაზღაურდება.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. მხარეები იღებენ ვალდებულებას აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი (ზარალი) კანონმდებლობით ან/და ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

6.2. კლიენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად, კლიენტი აცხადებს წინასწარ თანხმობას ბანკის სრულ უფლებამოსილებას, ბანკმა საკუთარი შეხედულებისამებრ:

6.2.1. კლიენტის მიერ ხელშეკრულებით ან/და ბანკთან არსებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულებ(ებ)ით (მათ შორის და არამარტო საკრედიტო ან/და უზრუნველყოფის ხელშეკრულებ(ებ)ით) ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების (მათ შორის ასეთი საფრთხის არსებობის) შემთხვევაში დაზღვეოს კლიენტის ანგარიში;

6.2.2. კლიენტის ბანკში არსებული ნებისმიერი სახის ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად ოპერაციების წარმოებისათვის და ანგარიშის მომსახურებისათვის ბანკში დადგენილი საკომისიო მოსაკრებლები, კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადები/გადასახადები, შეცდომით ჩარიცხული თანხები, ზიანის/ზარალის ანაზღაურების თანხები) და მიმართოს არსებული ფულადი ვალდებულებების დასაფარად/შესამკრებლად;

6.2.3. თუ გადასახდელი და ანგარიშზე რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, ბანკმა თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის ბანკში მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს კლიენტის ანგარიშიდან;

6.2.4. ბანკის წინაშე არსებული კლიენტის ვალდებულებები გაქვითოს კლიენტის წინაშე არსებულ ბანკის ნებისმიერ ვალდებულებაში.

7. პასუხისმგებლობის შეზღუდვა

7.1. იმის გათვალისწინებით, რომ ბანკი მოქმედებს კლიენტის დავალებით საბროკერო მომსახურების გაწევისას კლიენტი აცხადებს თანხმობას იმის შესახებ, რომ აუნაზღაურებს და დაიცავს ბანკს ზიანისგან, ზარალისგან, სასამართლო ხარჯებისგან, კლიენტის ან მესამე მხარის მიერ წამოყენებული საჩივრისგან, ქმედებისგან ან სასამართლოში წარდგენილი საჩივრისგან, სარჩელისგან ან განაცხადისგან ასევე კლიენტი აუნაზღაურებს და დაიცავს ბანკს ისეთი ზიანისგან, რომელიც წარმოიშვა საბროკერო მომსახურების გამოყენების შედეგად, ან ისეთი ზიანისგან, რომელიც წარმოიქმნა საბროკერო მომსახურების მეშვეობით განხორციელებული ოპერაციის შედეგად; კლიენტი აღიარებს, რომ აღნიშნული ოპერაციები განხორციელდება ბანკის მიერ მიღებული დავალებების შესაბამისად ამ პირობების მიხედვით და სხვა შესაბამისი განსაკუთრებული პირობების, ხელშეკრულებების, კონტრაქტების ან მსგავსი ინსტრუმენტების მიხედვით. კლიენტი აგრეთვე აცხადებს თანხმობას და ადასტურებს, რომ ზარალის ანაზღაურების პირობები ძალაში დარჩება და კლიენტისათვის მავალდებულებელი იურიდიული ძალა ექნება იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოხდება საბროკერო მომსახურების ნაწილობრივ ან მთლიანად გაუქმება.

7.2. კლიენტი აცხადებს და თანახმაა, რომ მას შესაძლოა მოუწიოს ზარალის ანაზღაურების შესახებ დამატებითი ხელშეკრულებების, განცხადებების ან სხვა მსგავს დოკუმენტზე ხელმოწერა და მათი / მისი შესრულება. ამგვარი დამატებითი ხელშეკრულებები, განცხადებები და მსგავსი საშუალებები დაემატება და არ გამოირიცხავს აქ მოყვანილ პირობებს ზარალის ანაზღაურების შესახებ.

7.3. ამ ხელშეკრულების პირობების მიუხედავად, ბანკი არ იქნება პასუხისმგებელი კლიენტის წინაშე ისეთ ზარალზე ან ზიანზე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ წარმოიშვა საბროკერო მომსახურებასთან დაკავშირებით. ასევე გამოირიცხება ბანკის პასუხისმგებლობა ნებისმიერ ზარალზე ან ზიანზე, მოგების, ბიზნესის, შემოსავლის ან დაგეგმილი დანაზოგების დაკარგვაზე, რომელიც დაკავშირებულია ხელშეკრულებაში განსაზღვრულ საბროკერო მომსახურებებთან.

7.4. ზემოაღნიშნული დებულებები ზარალის ანაზღაურების და ვალდებულებების შეზღუდვის შესახებ გაერცხვლება ბანკის აღმასრულებელ პირებზე, დირექტორებზე, თანამშრომლებზე, წარმომადგენლებსა და აგენტებზეც, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზარალი გამოწვეულია ბანკის ან ზემოაღნიშნული პირების დაუდევრობით, სამსახურებრივი გულგრილობით ან გამიზნული ქმედებით ან ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევით (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს ამ პირობების დარღვევას).

7.5. საბროკერო მომსახურების მიღებისას ინტერნეტ/მოზაილ ბანკის გამოყენების შემთხვევაში კლიენტი პასუხისმგებელია ყველა დავალებაზე, რომელსაც იგი გასცემს ბანკზე სპეციალური უსაფრთხოების პროცედურების გავლის შემდეგ, ხოლო ვერიფიცირებული/ბანკში დაფიქსირებული მეთოდის შემთხვევაში მისი ნებისმიერი ფორმით გამოყენებისას. აღნიშნული გულისხმობს პასუხისმგებლობას დავალებაზე ან აღნიშნული დავალების შეცვლისას დაშვებულ ნებისმიერ შეცდომაზე, რომელიც გაგზავნილი იყო მესამე პირის მიერ.

7.6. ბანკი არ იქნება პასუხისმგებელი კლიენტის წინაშე, თუ: ბანკს არ მიუღია კლიენტის მიერ გაგზავნილი დავალებ(ებ)ი; კლიენტმა ბანკს მიაწოდა არასწორი ან არასრული ინფორმაცია; კლიენტსა და ბანკს შორის ინტერნეტით კავშირში ჩაერთო მესამე მხარე.

7.7. ამ მუხლში აღნიშნული პირობები ძალაში დარჩება საბროკერო მომსახურების შეწყვეტის შემთხვევაშიც, სანამ მხარეები ერთმანეთის წინაშე ბოლომდე არ შესასრულებენ ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ვალდებულებებს.

8. გადასახადები

8.1. კლიენტი თავად არის პასუხისმგებელი სახელმწიფო თუ სხვა ორგანოსთვის საგადასახადო განაცხადის შეტანაზე ამ პირობების შესაბამისად. კლიენტი აგრეთვე თავად არის პასუხისმგებელი გადახადოს ნებისმიერი გადასახადი (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს დამატებითი ღირებულების გადასახადს), ბეგარა, საბაჟო გადასახადი, რომელიც შეიძლება დაწესდეს ნებისმიერ ვალდებულებაზე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ანგარიშ(ებ)ის მართვასთან ან წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ნებისმიერ ან ყველა საბროკერო მომსახურებასთან მიმართებით (ერთად, "საგადასახადო ვალდებულება"); ამასთანავე, ბანკი თავად იქნება პასუხისმგებელი ნებისმიერი გადასახადის გადახდაზე ან ვალდებულებაზე, რომელიც დაკავშირებულია კლიენტისგან მიღებულ საკომისიო თანხასთან. თუ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია, რომ ნებისმიერი ვალდებულების გადახდა შესაძლებელია თანხების დაკავებით, ბანკი ან/და ნებისმიერი შვილობილი / აფილირებული კომპანია ამგვარი თანხის გადახდას ან ჩამოწერას კლიენტის ხარჯზე მოახდენს იმის გათვალისწინებით, რომ ბანკი კლიენტს გაუზავნის შესაბამის შეტყობინებას. თუ კანონის შესაბამისად ბანკს ეცისრება რაიმე გადასახადი ან ჯარიმა კლიენტის საგადასახადო ვალდებულების გამო, კლიენტი დაუყოვნებლივ აუნაზღაურებს ბანკს ყველა ამგვარ ვალდებულებას იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ამგვარი გადასახადის ან ჯარიმის დაწესება გამოწვეულია ბანკის რომელიმე ქვედანაყოფის დაუდევრობით, სამსახურებრივი გულგრილობით ან გამიზნული ქმედებით.

8.2. ბანკი ვალდებულია შესაბამისობაში იყოს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. საქართველოს კანონმდებლობასთან ერთად კლიენტმა უნდა დააყვანოს ყველა გადასახადი კვეყნის საკანონმდებლო მოთხოვნები (მოიცავს იმ ქვეყნის კანონმდებლობას, რომლის მიქალაქეც არის კლიენტი ან რომელ ქვეყანაშიც ცხოვრობს).

9. ხელშეკრულების ცვლილება

9.1. ბანკი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, კლიენტისათვის წინასწარ 1 (ერთი) თვით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე, ცალმხრივად (კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე) შეცვალოს ხელშეკრულების პირობები, ამასთან წინასწარი გაფრთხილების ვალდებულება არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც:

9.1.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების, მათ შორის ტარიფების, ცვლილება ხორციელდება კლიენტის სასარგებლოდ;

9.1.2. ხელშეკრულებაში ან პირობებში ხორციელდება ახალი მომსახურების, ან დისტანციური საბროკერო მომსახურების არის დამატება, რომელიც არსებითად არ ანაცვლებს ან/და არ ცვლის ხელშეკრულებაში ან/და პირობებში არსებულ მომსახურებებს.

9.2. თუ კლიენტი არ დაეთანხმება ბანკის მიერ შეცვლილ პირობებს, იგი ვალდებულია ცვლილებების ძალაში შესვლამდე წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ ბანკს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ კლიენტი ეთანხმება განხორციელებულ ცვლილებებს.

9.3. ცვლილებების მიღებაზე უარის დაფიქსირების შემთხვევაში, კლიენტი უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულების დაუყოვნებლივ შეწყვეტა, ამასთან თუ ასეთი მოთხოვნა არ არის დაფიქსირებული კლიენტის მხრიდან განცხადებაში, ბანკი უფლებამოსილია თავად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება ცვლილებების ამოქმედების თარიღიდან.

9.4. წინამდებარე მუხლში განსაზღვრული მიზეზით ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო კლიენტი ვალდებულია სრულად დაფაროს ბანკის მიმართ საბროკერო

საბროკერო მომსახურების პირობები

მომსახურებასთან დაკავშირებული/არსებული დავალიანება (ასეთის არსებობის შემთხვევაში), წინამდებარე პირობებით დადგენილი წესით. ამასთან, ხელშეკრულების შეწყვეტისათვის კლიენტს არ დაეკისრება რაიმე სახის საჯარიმო საკომისიო ან/და დამატებითი პირგასამტეხლო ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისათვის.

9.5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შესახებ კლიენტის ინფორმირება (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) განხორციელდება მეცვლილი პირობების ტექსტის **ბანკის ვებგვერდზე - www.libertybank.ge** განთავსების გზით. კლიენტი თავად არის ვალდებული პერიოდულად შემოწმოს **ბანკის ვებ-გვერდი** და გაეცნოს **პირობებში** ცვლილებებს.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტა

10.1. ეს პირობები ძალაში შევა მას შემდეგ, რაც კლიენტი შეავსებს შესაბამის **განაცხადს**, ხელს მოაწერს/დაეთანხმება (მათ შორის ელექტრონული ფორმით) ჩაბარებს **ბანკს** და მას დაეთანხმება **ბანკი**. **ბანკის** თანხმობა გამოიხატება **კლიენტისათვის** შესაბამისი **საბროკერო ანგარიშის** გახსნით.

10.2. პირობები ძალაშია და მოქმედებს მის შეწყვეტამდე ამ პირობებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

10.3. თუ **ბანკი** ან/და **კლიენტი** გადაწყვეტენ შეწყვიტონ ზოგიერთი სახის **საბროკერო მომსახურება**, შეწყვეტის შესახებ შეთანხმება ძალაში იქნება მხოლოდ მითითებულ მომსახურებასთან დაკავშირებით.

10.4. თუ წინამდებარე პირობებით, მათ შორის **ანგარიშის** დახურვის მუხლით, ან საკართველოს **კანონმდებლობით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **ბანკს** უფლება აქვს შეწყვიტოს მთლიანი **ხელშეკრულება** ნებისმიერ დროს. ასეთ შემთხვევაში **ბანკი კლიენტს** გაუგზავნის შესაბამის შეტყობინებას, **ხელშეკრულების** შეწყვეტამდე სულ მცირე 1 (ერთი) თვით ადრე.

10.5. თუ **კლიენტი** დარღვევს **ხელშეკრულების** მნიშვნელოვან პირობას **ბანკი** შესაბამისი შეტყობინების გაგზავნით უარს განუცხადებს **კლიენტს მომსახურების** გაწევაზე და გაუქმებს **ხელშეკრულებას**, დახურავს **კლიენტის ანგარიშს**, გაუქმებს ამ **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ **საბროკერო მომსახურებას** და მითითებს **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე **საბროკერო საქმიანობასთან** დაკავშირებული დავალიანების სრულად დაფარვას ან/და **ხელშეკრულების** შეწყვეტას.

10.6. **კლიენტის** მიერ **საბროკერო მომსახურების** შეწყვეტის ან ამ **ანგარიშის** დახურვის შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია შეუწყვიტოს **კლიენტს** წინამდებარე პირობებით განსაზღვრული ნებისმიერი ან ყველა **მომსახურება**.

10.7. **კლიენტს** უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს **ხელშეკრულება ბანკისთვის** 1 (ერთი) თვით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. ამასთან, **ბანკის** თანხმობის შემთხვევაში **ხელშეკრულება** შესაძლებელია შეწყდეს აღნიშნულ ვადაზე ადრე.

10.8. თუ რომელიმე **მხარე** გადაწყვეტს **ხელშეკრულების** შეწყვეტას, მაშინ **კლიენტმა ბანკს** უნდა გადაუხადოს **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ყველა გადასახდელი თანხა.

10.9. **ხელშეკრულების** შეწყვეტის შემთხვევაში, **მომსახურების ტარიფების** გადახდა უნდა განხორციელდეს მხოლოდ გაწეული **საბროკერო მომსახურების** პერიოდის პროპორციულად, ამასთან თუ **ტარიფებით** განსაზღვრული რომელიმე რეგულარული/პერიოდული **საკომისიო** გადახდილია წინასწარ, **ბანკი** უზრუნველყოფს ზედმეტად გადახდილი თანხის **კლიენტისთვის** დაბრუნებას.

10.10. თუ **ხელშეკრულების** შეწყვეტა **კლიენტის** მიერ განხორციელდება **ხელშეკრულების** ძალაში შესვლიდან 12 (თორმეტი) თვის გასვლამდე, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტს** დააკისროს **ხელშეკრულების** შეწყვეტასთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულება, იმ მოცულობით, რა მოცულობაც არ უნდა აღემატებოდეს **ხელშეკრულების** შეწყვეტიდან გამომდინარე **ბანკის** მიერ გასაწევ რეალურ ხარჯს.

10.11. **ხელშეკრულების** შეწყვეტის შესახებ **კლიენტის** ინფორმირება (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) განხორციელდება წინამდებარე პირობების მე-12 მუხლით განსაზღვრული კომუნიკაციის რომელიმე ფორმით.

11. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

11.1. წინამდებარე პირობები რეგულირდება და განიმარტება საქართველოს **კანონმდებლობის** შესაბამისად.

11.2. ნებისმიერი დავა, წინააღმდეგობა ან საჩივარი, რომელიც წარმოიშობა ან შეეხება ამ პირობებს ან ამ პირობების ნებისმიერ დარღვევას, მოგვარდება **მხარეებს** შორის მოლაპარაკების საფუძველზე.

11.3. დავებში მოუგვარებლობის შემთხვევაში, **მხარეები** მიმართავენ სასამართლოს **ბანკის** ადგილსამყოფელის მიხედვით.

11.4. **კლიენტი** უფლებამოსილია **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული **პირობების** შესრულებასთან დაკავშირებით პრეტენზია წარუდგინოს **ბანკს**, რომელსაც **ბანკი** განიხილავს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

12. კომუნიკაცია

12.1. **ბანკის** მიერ **კლიენტთან** კომუნიკაცია ხორციელდება, როგორც წერილობითი ასევე ზეპირი ფორმით, ხოლო **კლიენტის** მიერ **ბანკთან** კომუნიკაცია მხოლოდ წერილობითი ფორმით.

12.2. წერილობითი ფორმით კომუნიკაციისას შეტყობინება უნდა მიეწოდოს **მხარეს ხელშეკრულებაში** ან/და **ბანკთან** არსებულ სხვა ხელშეკრულებ(ებ)ში, **განაცხადებში** მითითებულ საკონტაქტო მონაცემებზე პირადად, კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის (მათ შორის, **ვერიფიცირებული მელი/ბანკში დაფიქსირებული მელი**)) ან/და სასამართლო კურიერის, ელექტრონული ფოსტის, ფიჭური კავშირგაბმულობის (მოკლექტესტური შეტყობინების), **ინტერნეტ ბანკინგის, მობილ ბანკის** ან/და **ბანკის** მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით, იმის გათვალისწინებით, რომ:

12.2.1. **კლიენტის** მიერ **ბანკისათვის** პირადად ან/და კურიერის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **ბანკის** კანცელარიაში შეტყობინების რეგისტრაციის დღეს, ხოლო ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნილას, **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** მიღების დამადასტურებელი საპასუხო ელექტრონული წერილის გაგზავნის დღეს;

12.2.2. **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის) საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **კლიენტისათვის** ჩაბარების დღეს, ხოლო აღნიშნული ჩაბარების დადასტურების არ არსებობის შემთხვევაში **კლიენტის** მისამართზე შეტყობინების ნებისმიერი პირისათვის ჩაბარებიდან მომდევნო კალენდარულ დღეს;

12.3. **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **კლიენტის** ელექტრონული ფოსტის (**ვერიფიცირებული მელი/ბანკში დაფიქსირებული მელი**) სერვერიდან მიღებული დასტურის (ადრესატის ელექტრონულ ფოსტაში რეგისტრაციის შესახებ შეტყობინების) გაცემის დღეს. ხოლო ასეთი დასტურის არ არსებობის შემთხვევაში მომდევნო კალენდარულ დღეს;

12.4. **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** ფიჭური კავშირგაბმულობის (მოკლექტესტური შეტყობინების), **ინტერნეტ ბანკის, მობილ-ბანკის** ან/და **ბანკის** მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება შეტყობინების გაგზავნის დღეს, ხოლო **ბანკის ვებ-გვერდზე** ინფორმაციის განთავსებისას - ინფორმაციის განთავსების დღეს.

12.5. თუ **კლიენტი ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემის (მათ შორის ხელშეკრულებაში არსებული ნებისმიერი რეკვიზიტის) ცვლილების შესახებ წინასწარ არ შეატყობინებს **ბანკს** ან/და უშუალოდ ან საკონტაქტო პირის საშუალებით უარს განაცხადებს **ხელშეკრულების** საფუძველზე გაგზავნილი შეტყობინების მიღებაზე ან გაგზავნილი შეტყობინება ვერ ჩაბარდება **კლიენტს** მისამართზე არ ყოფნის მიზეზით ზედოზედ ორჯერ, **ბანკის** მიერ განხორციელებული ნებისმიერი ასეთი შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად შეტყობინების გაგზავნიდან მომდევნო კალენდარულ დღეს.

12.6. თუ **ხელშეკრულებაში** არ არის მითითებული **კლიენტის** საკონტაქტო მონაცემ(ებ)ი ან შეტყობინება ზედოზედ მეორე მცდელობის შემდეგ ვერ ჩაბარდება ადრესატს, **ბანკი** უფლებამოსილი იქნება მოახდინოს **კლიენტის** ინფორმირება საჯარო პუბლიკაციის გზით (როგორც ბეჭდვითი, ასევე ინტერნეტის საშუალებით ან სხვა ფორმით). აღნიშნული ქმედება არ ჩაითვლება პერსონალურ მონაცემთა დარღვევად და წინამდებარე **ხელშეკრულება** განიხილება შემდეგ ვერ ჩაბარდება თანხმობა მისი მონაცემების ამ მიზნით და მოცულობით დამუშავების თაობაზე.

12.7. **მხარეთა** შორის კომუნიკაცია ხორციელდება ქართულ ენაზე, ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტთან** კომუნიკაცია განახორციელოს **კლიენტისთვის** მისაღებ სხვა ენაზეც.

12.8. **ბანკი** უფლებამოსილია განახორციელოს **კლიენტთან** კომუნიკაცია სხვადასხვა მიზნით. შესაბამისად, **კლიენტისთვის** განკუთვნილი შეტყობინება (როგორც წერილობითი ასევე ზეპირი) შესაძლოა ატარებდეს (ა) საინფორმაციო/ტრანზაქციულ (მაგალითად ინფორმაცია **კლიენტის ანგარიშზე** შესრულებული ოპერაციების შესახებ და სხვა), (ბ) სახელმწიფო-ვალდებულებით (მაგალითად, გაფრთხილება დავალიანების არსებობის თაობაზე, ვალდებულების შესრულების მოთხოვნა და სხვა), (გ) მარკეტინგულ (მაგალითად, კრედიტის ან პროდუქტის შეთავაზება და სხვა) ან/და **კანონმდებლობით** განსაზღვრულ შინაარსს.

12.9. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტთან** კომუნიკაციისას გამოიყენოს **ბანკში კლიენტის**, ან მისი თანხმობით მესამე პირების მიერ **კლიენტის** შესახებ დაფიქსირებული, ან თავად **კლიენტის** მიერ მესამე პირების შესახებ დაფიქსირებული ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემი. ერთი სახელმწიფო-ვალდებულებით ურთიერთობის ფარგლებში დაფიქსირებული **კლიენტის** ან/და მესამე პირ(ებ)ის საკონტაქტო მონაცემები (მოუხედავად იმისა მოქმედია თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება), **ბანკის** მიერ შესაძლებელია გამოიყენებული იქნას, ამავე ან/და **ბანკის** სხვა **კლიენტის ბანკთან** არსებულ სხვა სახელმწიფო-ვალდებულებით ურთიერთობის ფარგლებში კომუნიკაციის მიზნით და პირადად.

12.10. **კლიენტი** თავად არის პასუხისმგებელი იმ შედეგებზე, რაც შეიძლება გამოიწვევოს იყოს საკონტაქტო მონაცემების გამოყენებისას კონფიდენციალურობის დარღვევის შედეგად. თუ **კლიენტს** არ სურს **ბანკმა** ისარგებლოს რომელიმე საკონტაქტო მონაცემით, **კლიენტმა** აღნიშნული მოთხოვნით **ბანკს** უნდა მიმართოს წერილობით.

12.10.1. წინამდებარე პირობებისა და **ბანკში** დადგენილი პროცედურების შესაბამისად, **კლიენტი** უფლებამოსილია ხელმოწერის ნაცვლად ოპერაციის, **დავლების** ან/და **მომსახურების** ფარგლებში ნებისმიერი დოკუმენტის (მათ შორის გარიგების) დადასტურების, ასევე **დავლების** ან/და **საბროკერო მომსახურებასთან**

საბროკერო მომსახურების პირობები

დაკავშირებული სხვა ოპერაციის ინიცირებისთვის გამოიყენოს ვერიფიცირებული მელი/ბანკი დაფიქსირებული მელი.

12.10.2. **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს **ბანკს ვერიფიცირებული მელის/ბანკი დაფიქსირებული მელის** მფლობელობის გაუქმების, გასხვისების, დაფიქსირების, მესამე პირ(ებ)ის მიერ წვდომის მოპოვების, ან/და აღნიშნულ ნომერთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ცვლილების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს **ბანკის** მხრიდან **მომსახურების** უსაფრთხო მიწოდებაზე.

12.10.3. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **ვერიფიცირებული მელის/ბანკი დაფიქსირებული მელის** შეცვლის, გასხვისების, დაფიქსირების, მესამე პირ(ებ)ზე გადაცემის ან/და ნებისმიერი მსგავსი ვითარების შედეგად გამოწვეულ შედეგებზე.

13. კონფიდენციალურობა და პერსონალური მონაცემების დამუშავება

13.1. **მხარეები** ვალდებული არიან, როგორც **ხელშეკრულების** მოქმედების ვადაში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგაც, არ გაამჟღავნონ ან/და მესამე პირ(ებ)ს არ გადასცენ **კონფიდენციალური ინფორმაცია**.

13.2. ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება ინფორმაციას ან ინფორმაციის გამჟღავნებას: (ა) რომელიც **კანონმდებლობის** საფუძველზე არის/გახდება საჯარო ან რომლის მოპოვება შესაძლებელია სხვა წყაროდან; (ბ) რომლის გამჟღავნების თაობაზე არსებობს **კონფიდენციალური ინფორმაციის** გამცემი პირის თანხმობა ან/და **მხარეთა** შეთანხმება; (გ) რომლის გამჟღავნებაც განხორციელდება, **კანონმდებლობის** მოთხოვნათა დაცვით, მათ შორის რომელიც მხარის მიერ სასამართლო წესით მისი უფლებების რეალიზაციისათვის ან/და მესამე პირ(ებ)ის კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილების შედეგად;

13.3. **პერსონალური მონაცემების დამუშავების ზოგადი პირობები.** **კლიენტისათვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ **საბროკერო** მომსახურებით სარგებლობის პერიოდში, ასევე შესაბამისი სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდგომაც, **ბანკი**, როგორც მონაცემთა დამუშავებისათვის პასუხისმგებელი პირი ან, მონაცემთა დამუშავების კონტექსტის გათვალისწინებით, როგორც მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი ან/და თანადამუშავებელი, უფლებამოსილია, წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული მიზნებით, განახორციელოს **კლიენტის** შესახებ არსებული ინფორმაციის, მათ შორის **კლიენტის პერსონალური მონაცემების**, დამუშავება.

13.3.1. **ბანკის** მიერ მონაცემთა დამუშავება, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს მონაცემთა მიმართ შესრულებულ ნებისმიერ მოქმედებას, მათ შორის, მონაცემების **კლიენტისაგან**, საჯაროდ ხელმისაწვდომი წყარო(ებ)იდან ან/და წინამდებარე **პირობებში** მითითებულ **მესამე პირ(ებ)ისაგან** მოპოვებას, შერეობას, მათზე წვდომას, ფოტოგადაღებას, აუდიო-მონიტორინგს, ვიდეომონიტორინგს, ორგანიზებას, შენახვას, შეცვლას, აღდგენას, გამოთხოვას, დაბლოკვას, წაშლას, განადგურებას, გამოყენებას ან გამჟღავნებას (მათ შორის ინფორმაციის წინამდებარე **პირობებში** მითითებული მიზნებით **მესამე პირებისთვის** გამჟღავნებას) მათი გადაცემით, გასაჯაროებით, გავრცელებით ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომით.

13.3.2. **მონაცემთა დამუშავების** კონტექსტის გათვალისწინებით, **ბანკის** ან/და წინამდებარე **პირობებში** ჩამოთვლილი **მესამე პირების** (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, **ბანკის** უფლებამოსილი პირების) მიერ ხორციელდება **კლიენტის** ან/და მის მიერ დასახელებული მესამე პირ(ებ)ის შესახებ არსებული ინფორმაციის დამუშავება წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული მიზნებისათვის და შესაძლოა მოიცავდეს მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს შესაბამის კატეგორიაში (კატეგორიებში) მითითებული ინფორმაციის, მათ შორის, **პერსონალური მონაცემების** დამუშავებით:

(ა) **საიდენტიფიკაციო** - **კლიენტის** სახელი, გვარი, პირადი საიდენტიფიკაციო ნომერი, დაბადების თარიღი, ხელმოწერის ნიმუში.

(ბ) **საკონტაქტო** - **კლიენტის** რეგისტრირებული ან/და საცხოვრებელი მისამართი, ელექტრონული ფოსტა, მობილური და ქალაქის ტელეფონის ნომრები, საკონტაქტო პირ(ებ)ზე ინფორმაცია.

(გ) **ფინანსური** - მათ შორის, **კლიენტის** საკრედიტო ისტორია, გადახდისუნარიანობა, ვალდებულებები, გადახდის გრაფიკი, ვადაგადაცილებები, საკადასახადო დავალიანებები, ჯარიმები, ადმინისტრაციული სახდელები, **კლიენტის** შემოსავლები, მონაცემები **კლიენტზე** ფინანსურად დამოკიდებულ ოჯახის წევრთა და სხვა მესამე პირთა შესახებ, **კლიენტის** ქონების და სხვა აქტივების შეფასება, დაზღვეულ პროდუქტთან დაკავშირებული ინფორმაცია, ფინანსური პროდუქტები და სერვისები, რომლითაც სარგებლობს ან სარგებლობდა **კლიენტი**.

(დ) **ტრანზაქციული** - როგორცა, საგადახდო (საბანკო, ელექტრონული საფულის) ანგარიშის ნომერი, საგადახდო ანგარიშის ამონაწერი, ნაშთი, დეპოზიტები, თანხის განადგებები, გადარიცხვები, **კლიენტის** ანგარიშებთან და ტრანზაქციებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია.

(ე) **ტექნიკური** - ინფორმაცია **კლიენტის** მიერ **ბანკის** სერვისებით სარგებლობისას გამოყენებულ მოწყობილობაზე და სხვა ტექნიკური დეტალები, მაგალითად, ინტერნეტ პროტოკოლის (IP) მისამართი, ოპერაციულ სისტემა, ლოგო ჩანაწერები და სხვ.

(ვ) **ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული** - გულისხმობს მონაცემებს **კლიენტის** ადგილსამყოფელის შესახებ, მაგალითად, ინფორმაცია, რომელიც შეგროვებულია **კლიენტის** მობილური მოწყობილობის ადგილმდებარეობის განმსაზღვრელი ფუნქციების დახმარებით, როდესაც **კლიენტის** მიერ მოთხოვნილია ისეთ სერვისები, რომელთა მიწოდება დამოკიდებულია **კლიენტის** ფიზიკურ ადგილსამყოფელზე.

(ზ) **აუდიო-ვიზუალური** - მაგალითად, როგორცა დისტანციური მომსახურების ცენტრში ან/და ბანკის შიდა ნომერზე შემოსული/გასული სატელეფონო ზარების ჩანაწერები, ვიდეო და აუდიო მონიტორინგის სისტემის ჩანაწერები, ფოტოსურათები.

(თ) **სარგებლობასთან დაკავშირებული** - ინფორმაცია **კლიენტის** მიერ **ბანკის** ვებგვერდ(ებ)ის, მობილური აპლიკაციების, პროდუქტებისა და სერვისების მიმხარებაზე, მათ შორის შეფასებები და გამოკითხვაზე პასუხები.

(ი) **მარკეტინგული** - მოიცავს ინფორმაციას **კლიენტის** პრეფერენციების თაობაზე, თუ რას ანიჭებს უპირატესობას **ბანკისგან** ან მესამე პირებისგან მარკეტინგული შეტყობინებების მიღებისას, ასევე კომუნიკაციის **კლიენტისთვის** სასურველ ფორმას, ინფორმაციას იმის შესახებ **კლიენტის** მიერ გამოყენებული იქნა თუ არა პირდაპირ მარკეტინგზე დათანხმების/უარის თქმის მექანიზმი.

(კ) **სოციალ-დემოგრაფიული** - **კლიენტის** მოქალაქეობასთან, განათლებასთან, პროფესიასთან, სამუშაო ადგილთან, ოჯახთან და სხვ. დაკავშირებული მონაცემები, ასევე ენა, სქესი, ასაკი, სოციალური სტატუსი.

(ლ) **ინტერაქციული** - **კლიენტის** მიერ ბანკთან პირისპირ კომუნიკაციისას, ფიზიკური ფორმების შევსებისას, ტელეფონით, ელ-ფოსტით და სხვა არხებით (მათ შორის სოც მედიის საშუალებით Facebook, Instagram, LinkedIn და სხვ) დაფიქსირებული ინფორმაცია.

(მ) **რეესტრები და საჯარო მონაცემები** - ინფორმაცია **კლიენტის** შესახებ, რომელიც აღრიცხულია სხვადასხვა მონაცემთა ბაზაში; დაცულია საჯარო ჩანაწერებში (მაგალითად, სსიპ საჯარო რეესტრის ეფუძნული სააგენტოში), ასევე ის ინფორმაცია თქვენ შესახებ, რომელიც დიად ხელმისაწვდომია ინტერნეტ სივრცეში ან სხვაგვარად.

(ნ) **განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები** - ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია მაგალითად ნასამართლობასთან, ჯანმრთელობასთან, ასევე ბიომეტრიული მონაცემები, როგორცა სახის გამოსახულება, ელექტრონულ ხელმოწერასთან დაკავშირებული ბიომეტრიული მონაცემები და სხვ. **ბანკი** მოიპოვებს **კლიენტის** მკაფიო თანხმობას აღნიშნული ტიპის პერსონალური მონაცემების შერეობაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონმდებლობა ითვალისწინებს მსგავსი მონაცემების დამუშავებას **კლიენტის/მონაცემთა სუბიექტის** თანხმობის გარეშე.

(ო) **„იციოდ შენ კლიენტს“ (KYC)** - ინფორმაცია, რომელიც მუშავდება **კლიენტის** სათანადო შესწავლის ფარგლებში თაღლითური ქცევის პრევენციის, რისკზე დამყარებული მიდგომით რისკების შეფასების, ასევე ფულის გათვორების, ტერორიზმის დაფინანსებისა და საგადასახადო თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნებისათვის.

(პ) **სახელშეკრულებო** - დეტალები **ბანკის** მიერ **კლიენტისთვის** მიწოდებული პროდუქტებისა და სერვისების შესახებ;

(ჟ) **დოკუმენტური** - სხვადასხვა ფორმატის დოკუმენტებსა თუ მათ ასლებში **კლიენტის** შესახებ დაცული ინფორმაცია, მათ შორის, **კლიენტის** პასპორტი, მათთვის მოწმობა, დაბადების მოწმობა, სატრანსპორტო საშუალების მოწმობა, ამონაწერები და სხვ.

(რ) ნებისმიერი სხვა მონაცემი, რომელიც უკავშირდება **კლიენტს** და რომლითაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება, დახასიათება ან/და დაჯგუფება პირის კომონიკური, სოციალური ან/და სხვა ნიშნებითა თუ ზემოთ მოყვანილ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი ან ნაგულისხმები ტრანზაქციული აქტივობები.

13.3.3. **ბანკის** მიერ დეტალური ან/და ელექტრონულ არხებში (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ვებ-ბრაუზერი, **ბანკის ვებ-გვერდი**, ციფრული ბანკი, ბანკის მობილური აპლიკაციები, LB PAY აპარატები, ბანკომატები ან/და მონაცემთა გადაცემისა და მიღების სხვა ტექნიკური საშუალებები და არხები) **კლიენტის** შესახებ მონაცემების დამუშავება, ასევე მოიცავს **კლიენტის** აქტივობის ჩაწერას (მაგ. ელექტრონულ არხით სარგებლობისას **კლიენტის** ადგილსამყოფელის იდენტიფიცირება, მიების ველში დაფიქსირებული მონაცემების აღწერა და ანალიზი, პროდუქციის არჩევანის სიხშირის ან/და სხვა ნებისმიერი სტატისტიკური მონაცემის ჩაწერა და მისი ანალიზი) ან/და **კლიენტის** მიერ დაფიქსირებული სხვა მონაცემების (მაგ. **კლიენტის** ან/და **მესამე პირთა** საკონტაქტო მონაცემები) გამოყენებას.

13.3.4. იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** ამავდროულად წარმოადგენს **ბანკის კლიენტს** იურიდიული პირის ხელმძღვანელს, წარმომადგენელს, უფლებამოსილ ან/და ან იურიდიულ პირთან ნებისმიერი სხვა ფორმით ასოცირებულ პირს, **ბანკი** უფლებამოსილია დამუშავოს და გამოიყენოს **კლიენტის პერსონალური მონაცემები**, როგორც აღნიშნულ იურიდიულ პირთან დაკავშირებული ან/და მის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ინფორმაცია და დამუშავოს **კლიენტის პერსონალური მონაცემები ბანკისთვის კანონმდებლობით** დაკისრებული მოვალეობების შესრულების, **ბანკის** ლეგიტიმური ინტერესების დაცვის, ასევე ზემოაღნიშნული იურიდიული პირისთვის მომსახურების გაწევის ან/და **პირდაპირი მარკეტინგის** მიზნებისთვის.

13.4. **საკონტაქტო უფლებები** **კლიენტი** აცხადებს თანხმობას, რომ მის მიერ **ბანკის** ვებ-გვერდზე, ციფრულ ბანკში, მობილურ აპლიკაციებსა და სხვა ელექტრონულ არხებში განთავსებული **კლიენტის** მონაცემები (ბეჭდვითი, აუდიო

საბროკერო მომსახურების პირობები

ან/და ვიზუალური) თუ ის არ განკუთვნილია კლიენტის პერსონალურ მონაცემებს ჩაითვლება **ბანკის** საკუთრებად და **ბანკი** აღნიშნული მონაცემების განთავსებისთანავე სრულად მიაპოვებს მათზე საავტორო კონტრირე უფლებებს.

13.5. **მონაცემების დამუშავების საფუძველზე**, კლიენტისთვის ცნობილია და ეთანხმება, რომ **ბანკის**, მათ შორის, საბროკერო მომსახურებით სარგებლობის პერიოდში, ასევე შესაბამისი სახელშეკრულებით ურთიერთობის დასრულების შემდგომაც, **ბანკის** მიერ კლიენტის ან/და მის მიერ დასახელებული მესამე პირ(ებ)ის შესახებ ინფორმაციის (მათ შორის **პერსონალური მონაცემების**) დამუშავება ხორციელდება სულ მცირე ერთ-ერთი შემდეგი საფუძველით:

13.5.1. კლიენტის თანხმობით მის შესახებ მონაცემთა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით დამუშავებასთან დაკავშირებით;

13.5.2. კლიენტთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებად ან მისი მოთხოვნით გარიგების დასადასტურებლად;

13.5.3. კლიენტის განცხადების განსახილველად ან/და მისთვის მომსახურების გასაწყვეად;

13.5.4. **ბანკის** ან/და **მესამე პირ(ებ)ის** კანონიერი ინტერესების დასაცავად;

13.5.5. **ბანკის** მიერ **კანონმდებლობით** დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;

13.5.6. საჯარო ინტერესის სფეროში შემავალი ამოცანების შესასრულებლად, მათ შორის, დანაშაულის თავიდან აცილების, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნებისათვის;

13.5.7. **კანონმდებლობით** განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

13.6. თუ მონაცემთა დამუშავებისთვის, **კანონმდებლობა** ითხოვს კლიენტის თანხმობის არსებობას, აღნიშნულ თანხმობად ჩაითვლება აქტიური მოქმედებით ნებისმიერი ელექტრონული ან/და არაელექტრონული ფორმით გამოხატული ნება/გაკეთებული განცხადება, რომლითაც კლიენტი ეთანხმება შესაბამის პირობებს და რომელიც ამ განცხადებთან ერთად წარმოადგენს ერთიან ხელშეკრულებას. სხვადასხვა დისკონტინუალური მომსახურების არხების / ციფრული/ ელექტრონული საკომუნიკაციო არხების საშუალებებით (ბანკომატი, სწრაფი გადახდის ტერმინალი, ციფრული ბანკი, ბანკის დისტანციური მომსახურების სერვისი (ცხელი ხაზი), კლიენტის მობილური ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი ერთჯერადი SMS კოდით და სხვ.) კლიენტის მიერ გაცხადებულ თანხმობას მისი **პერსონალური მონაცემების** დამუშავებასთან დაკავშირებით (მათ შორის სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და სხვა შესაბამის ბაზებში დადებული კლიენტის პერსონალური მონაცემების **ბანკის** მიერ მიღებასთან და დამუშავებასთან დაკავშირებული თანხმობა, თანხმობა **პირდაპირი მარკეტინგის** მიზნებისათვის **მონაცემების დამუშავებაზე** და სხვ.) გააჩნია წერილობითი ფორმით შესრულებული, ქაღალდზე დაბეჭდილი, კლიენტის მიერ ხელმოწერით დადასტურებული საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა. ამასთან, **კლიენტისთვის** ცნობილია, რომ მონაცემთა დამუშავებაზე შესაბამისი თანხმობის გამოხატვის შემთხვევაში, აღნიშნული არ მოახდენს გავლენას მონაცემთა დამუშავების კანონიერებაზე და არ გამოიწვევს თანხმობის გამოხატვამდე და თანხმობის ფარგლებში წარმომხმობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას.

13.7. იმ შემთხვევაში თუ კლიენტი **ბანკს** აწვდის მესამე პირ(ებ)ის (მაგალითად, თავდები პირი, ოჯახის წევრები, დამსაქმებელი, საკონტაქტო პირი და სხვა) შესახებ ინფორმაციას, მათ შორის და არამარტო მათ **პერსონალური მონაცემებს**, ინფორმაციას გადახდისუნარიანობის, კონტრირე მდგომარეობის შესახებ და სხვა (შემდგომში ერთობლივად - **პერსონალური მონაცემები**), კლიენტი თავდა არის ვალდებული ამ მონაცემების **ბანკისთვის** გადაცემამდე მოპოვებული ჰქონდეს ზემოაღნიშნულ პირთა თანხმობა მათი **პერსონალური მონაცემების ბანკის** მიერ წინამდებარე პირობებით და **ბანკის** მონაცემთა დაცვის პოლიტიკით განსაზღვრული მიზნებით და პირობებით დამუშავებაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **ბანკისთვის** ამგვარი ინფორმაციის მიწოდების ფაქტი გულისხმობს **კლიენტის** მხრიდან ამ პირ(ებ)ისგან თანხმობის წინასწარ მოპოვებას, მათთვის წინამდებარე პირობების, ასევე **ბანკის** ვებ-გვერდზე www.libertybank.ge განთავსებული მონაცემთა დაცვის პოლიტიკის(ებ)ის გაცნობის და დათანხმების უზრუნველყოფას და აღარ საჭიროებს **ბანკის** მიერ დამატებითი დასტურის მიღებას. **კლიენტი** თავდა არის პასუხისმგებელი ნებისმიერ ზიანზე/ზარალზე, რომელიც შესაძლოა მიადგეს **ბანკს** კლიენტის მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში და ის (**კლიენტი**) თანახმაა აუნაზღაუროს და დაიცვას **ბანკი** ნებისმიერი ზარალისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს შედეგობრივ ზარალს), საჩივრისგან, ხარჯისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებსაც **ბანკი** გაიღებს საკუთარი უფლებების განსახორციელებლად), იურიდიული პროცესისგან და ნებისმიერი სხვა ვალდებულებისგან, რომელიც ამგვარი დარღვევის შედეგად შეიძლება წარმოიშვას.

13.8. **მონაცემების დამუშავების მიზნები**. მონაცემთა დამუშავების კონტექსტის გათვალისწინებით, **ბანკის** ან/და წინამდებარე პირობებში ჩამოთვლილი მესამე პირ(ებ)ის მიერ კლიენტის ან მის მიერ მითითებული მესამე პირ(ებ)ის **პერსონალური მონაცემების დამუშავება** შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა მიზნით, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე:

13.8.1. საბროკერო მომსახურების სრულად ჯეროვნად განხორციელებისთვის;

13.8.2. პროდუქტების და სერვისის მისაწოდებლად, მათ შორის დისტანციური საბანკო/საგადახდო მომსახურების არხების/საგადახდო ინსტრუმენტების

საშუალებებით (სწრაფი გადახდის ტერმინალი, ბანკომატი, დისტანციური მომსახურების სერვისი (ცხელი ხაზი) და ა.შ.) კლიენტისათვის შესაბამისი მომსახურების გაწვევისთვის/შეთავაზებების უზრუნველსაყოფად;

13.8.3. კლიენტის სათანადო წესით იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციისთვის და მის შესახებ მონაცემთა პერიოდული განახლების უზრუნველსაყოფად;

13.8.4. კლიენტთან კომუნიკაციის ეფექტურად წარმართვისათვის, მათ შორის, მისი განაცხადების, მომართვების თუ პრეტენზიების სათანადო და დროული მოკვლევისა და რეაგირების უზრუნველსაყოფად;

13.8.5. **ბანკის** ან/და **მესამე პირის** კანონიერი ინტერესის დაცვის მიზნით, შესაბამისი სახელშეკრულებით პირობებით განსაზღვრულ ან/და **კანონმდებლობით** დადგენილ შემთხვევებში, ინფორმაციის, მათ შორის **კლიენტის პერსონალური**, ასევე საბანკო საიდუმლოებას მიკუთვნებული **მონაცემების**, პოტენციური ცვლილების ან ცედენტის, ასევე მარეგულირებლის, მაკონტროლებლის ან სხვა ზედამხედველი ორგანოსათვის ხელმისაწვდომობისთვის;

13.8.6. იურიდიული ძალის მქონე მტკიცებულების შექმნისათვის;

13.8.7. **ბანკის** კანონიერი ინტერესის დაცვისა და სამართლებრივი უფლებების რეალიზაციის მიზნით, მათ შორის **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის დროულად ან/და ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში;

13.8.8. **ბანკის** მომსახურების გასაუმჯობესებლად და განვითარებისთვის, რა დროსაც **ბანკი** ახორციელებს **კლიენტის** შესახებ არსებული ინფორმაციის, სტატისტიკური მონაცემების ანალიზს და სხვა;

13.8.9. კლიენტის მიერ VISA Concierge (ვიზა კონსიერჟ) ან სხვა მოთხოვნილი მომსახურებით სარგებლობის უზრუნველსაყოფად;

13.8.10. სხვადასხვა ანგარიშების, კვლევების ან/და პრევენტივების მოსამზადებლად და სადემონსტრაციოდ;

13.8.11. ფულის გათეთრების საწინააღმდეგო და დანაშაულის აღმკვეთი ღონისძიებების უზრუნველყოფასა და ხელშეწყობისათვის, თაღლითობის ან/და შესაძლო თაღლითობის, ფულის გათეთრების და სხვა დანაშაულის პრევენციისთვის, გამოვლენისთვის, მოკვლევისთვის, ასევე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ხელშეწყობად;

13.8.12. **ირდაპირი მარკეტინგის** მიზნებისათვის;

13.8.13. სხვა ნებისმიერ ისეთ შემთხვევაში, თუ მონაცემთა შემდგომი დამუშავების მიზანი თავსებადი თავდაპირველ მიზანთან;

13.8.14. სხვა კანონიერი მიზნებისთვის ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად.

13.9. **პერსონალური მონაცემების გადაცემა ან/და გამოთხოვა მესამე პირ(ებ)ისგან**.

13.9.1. **ბანკი** მკაცრად იცავს კლიენტის და მის მიერ დასახელებული მესამე პირების (დამატებითი **ზარათის** მფლობელი, თავდები, საკონტაქტო პირი და სხვა) შესახებ ინფორმაციის, მათ შორის **პერსონალური მონაცემების**, კონფიდენციალურობას, ამასთან, კლიენტი აცნობიერებს და ეთანხმება, რომ იმისათვის, რომ **ბანკმა** შეასრულოს **კანონმდებლობით** დაკისრებული მოვალეობები, დაიცვას საკუთარი ლეგიტიმური ინტერესები, ასევე სრულად და ჯეროვნად განახორციელოს კლიენტის მომსახურება, **მონაცემთა დამუშავების** კონტექსტისა და მიზნებიდან გამომდინარე, **ბანკი** უფლებამოსილია წინამდებარე პირობებში ჩამოთვლილ მესამე პირებს გადასცეს ან/და თავდა ასეთი პირ(ებ)ისგან კლიენტის ან/და მის მიერ დასახელებული მესამე პირების შესახებ გამოთხოვის ინფორმაცია იმ მოცულობით რაც საჭიროა წინამდებარე პირობებით ან/და **კანონმდებლობით** განსაზღვრული მიზნებისათვის, მათ შორის და არამხოლოდ:

13.9.1.1. **ბანკის** მიერ კლიენტისათვის საბანკო მომსახურების გაწვევის, ასევე საბანკო მომსახურებით სარგებლობის პერიოდში მოთხოვნილი სხვადასხვა სერვისის ფარგლებში, **ბანკმა** კანონმდებლობით დადგენილი წესით, შევსაჯერადად მიიღოს და დააქუშავოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, ბანკისთვის აუცილებელი, კლიენტის პერსონალური მონაცემები, მათ შორის, საჭიროებისამებრ, კლიენტის პირადობის (ბინადრობის) მოწმობის უკონტაქტო ჩიპის იდენტიფიკატორის (UID) შესახებ მონაცემები და კლიენტის ხელმოწერის ნიმუში.

13.9.1.2. კლიენტისათვის საბროკერო მომსახურების სრულყოფილად გაწვევის, საბროკერო ოპერაციებისა და ტრანზაქციების განხორციელების, ასევე ადგილობრივ თუ საერთაშორისო რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის (მათ შორის, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის, ასევე „იციოდე შენს კლიენტს“ პროცედურების წარმოების) და **ბანკის** ან/და **მესამე პირის** კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნებისათვის, **ბანკი** უფლებამოსილია კლიენტის პერსონალური მონაცემები, გაუზიაროს შესაბამის საბროკერო კომპანიას/საბროკერო სერვისის მოწოდებელს ან/და სხვა უფლებამოსილ ორგანიზაციას(ებს).

13.9.2. გარდა ზემოაღნიშნულისა, კლიენტი აცნობიერებს, და ადასტურებს **ბანკს** უფლებამოსილებას, კლიენტის დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის გარეშე, წინამდებარე პირობებით ან/და კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნებისათვის, ქვემოთ ჩამოთვლილი კატეგორიის ორგანიზაციებისგან მოიპოვოს ან/და მათ გადასცეს კლიენტის ან/და მის მიერ დასახელებული მესამე პირების პერსონალური და საბანკო ინფორმაცია (მათ შორის და არამარტო ანგარიშებზე ნაშთები ან/და დავალიანება, ტრანზაქციების შესახებ ინფორმაცია და სხვა):

საბროკერო მომსახურების პირობები

- (ა) **ბანკის** პარტნიორი, მათ შორის სხვადასხვა მომსახურების მიწოდებელი საერთაშორისო ან/და ადგილობრივი კომპანიები, რომელთან ერთადაც **ბანკი** კომერციული კუთხით თანამშრომლობს და რომლებიც, თავის მხრივ, კისრულობენ ვალდებულებას, მიიღონ შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;
- (ბ) **ბანკის** კონტრაქტორები ან/და კორპორატიული კლიენტები, რომლებიც იყენებენ **ბანკის** საგადახდო მომსახურებას საკუთარი კლიენტების (აბონენტების) გადასახდლების მისაღებად (ე.წ. ბილინგი);
- (გ) საგადახდო მომსახურების პროვაიდერ(ებ)ი და სხვა **მესამე პირები**, რომლებიც **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** დისტანციური საბანკო/საგადახდო მომსახურების არხების/საგადახდო ინსტრუმენტების საშუალებებით (სწრაფი გადახდის ტერმინალი, ბანკომატი და ა.შ.) საბანკო/საგადახდო მომსახურების მიწოდებისთვის/გაწევისთვის, საქართველოს **კანონმდებლობით** დადგენილი წესით, ახორციელებენ პირის იდენტიფიკაციას/ვერიფიკაციას და რომლებიც, თავის მხრივ, კისრულობენ ვალდებულებას, მიიღონ შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;
- (დ) საჯარო დაწესებულებები, როგორცაა სახედასხედველო, დამოუკიდებელი, სასამართლო, საგამომიბეო და სხვა დაწესებულებები, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და მათ მიერ შექმნილი იურიდიული პირები;
- (ე) ფულის გათეთრების საწინააღმდეგო ორგანიზაციები/სამსახურები (როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ);
- (ვ) პრობლემური აქტივების მართვის კომპანიები ან/და კოლექტორული ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ პრობლემური მოთხოვნებიდან გამომდინარე გადახდების შესრულებას ან/და აღნიშნული პრობლემური მოთხოვნების შექმნას (ცესია);
- (ზ) საერთაშორისო და ადგილობრივი საგადახდო მომსახურების ოპერატორები, მათ შორის საერთაშორისო და ადგილობრივი ფულადი გზავნილების ოპერატორები;
- (თ) **ბანკისათვის** მომსახურების გამწევი პროფესიონალი კომპანიები, მათ შორის გარე ფინანსური და იურიდიული მრჩეველები, აუდიტორული, კვლევითი, სარეკლამო კომპანიები, საკონსულტაციო, კვლევითი, მარკეტინგული და სხვა შესაბამისი მომსახურების მიღების მიზნით და რომლებიც, თავის მხრივ, კისრულობენ ვალდებულებას, მიიღონ შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;
- (ი) სადაზღვევო კომპანიები **კლიენტისათვის** შესაბამისი სადაზღვევო მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- (კ) საკურიერო კომპანიები **კლიენტისათვის** კორესპონდენციის ჩაბარების უზრუნველსაყოფად;
- (ლ) დაკავშირებული მესამე პირები, **ბანკის** შვილობილი კომპანიები, აფილირებული პირები და სხვა პარტნიორები;
- (მ) ის მესამე პირები, რომლებსაც შესაძლებელია **ბანკმა** მიიყიდოს, გადასცეს ან გააერთიანოს ბიზნესის ან აქტივების ნაწილი;
- (ნ) საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები, დაფინანსების მოსაპოვებლად;
- (ო) სხვა ნებისმიერი პირები, რომელთათვისაც მონაცემთა გაზიარება ან/და მათგან გამოთხოვა ემსახურება ანგარიშგებასთან, **კანონმდებლობის** ან/და შესაბამის ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფასთან, ასევე აუდიტის/მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებული **ბანკის** მოვალეობების შესრულებას და **ბანკის** ლეგიტიმური ინტერესების დაცვას;
- 13.9.3. **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ წინამდებარე **პირობებში** მოცემული **მესამე პირების** ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და დროდადრო **მესამე პირების** კატეგორიები შესაძლოა შეიცვალოს.
- 13.10. **მონაცემების საერთაშორისო გადაცემა**
- 13.10.1. **კლიენტი** აცნობიერებს და ადასტურებს, რომ **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორის, თაღლითობისა და ფულის გათეთრების პრევენციის მიზნებისათვის, ასევე, **კლიენტისათვის** საბანკო, მათ შორის, საბროკერო მომსახურების გაწევის/ხელშეკრულების შესრულების, ან/და **ბანკის** ლეგიტიმური ინტერესების დაცვის მიზნით **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** წინასწარი ან/და დამატებითი თანხმობის გარეშე, გადასცეს **კლიენტის პერსონალური მონაცემები** საქართველოს ფარგლებს გარეთ, უცხო ქვეყანაში რეგისტრირებულ ორგანიზაციას/**მესამე პირ(ებ)ს**.
- 13.10.2. **კლიენტმა** დამუშავების მიზნებიდან გამომდინარე, **კლიენტის პერსონალური მონაცემები** შესაძლოა გადაეცეს სხვა ისეთ ქვეყანაში დაფუძნებულ/მოქმედ პირს/ორგანიზაციას, რომელიც არ წარმოადგენს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის/მისი უფლებამონაცვლის შესაბამისი ნორმატიული აქტით განსაზღვრულ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყანას.
- 13.10.3. **კლიენტისთვის** ცნობილია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების არმქონე ქვეყნებში მონაცემების გაზიარების შესაძლო საფრთხეები უკავშირდება, მაგრამ შესაძლოა არ შემოიფარგლებოდეს

- ადგილობრივი სახედასხედველო ორგანოს და ინდივიდუალურ მონაცემთა დაცვის და მონაცემთა სუბიექტის უფლებების არარსებობით (ან მხოლოდ შეზღუდული არსებობით). ზოგიერთ ასეთ ქვეყანაში კონფიდენციალურობისა და მონაცემთა დაცვის კანონები და წესები მონაცემებზე წვდომასთან დაკავშირებით, შესაძლოა განსხვავდებოდეს საქართველოს **კანონმდებლობისგან**; ამასთან, ასეთ შემთხვევაში, **ბანკი** უზრუნველყოფს **პერსონალურ მონაცემთა** გადაცემის შესახებ შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებას ან/და სხვა ღონისძიებებს, რომლითაც **კანონმდებლობით** გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, განისაზღვრება მიმღები მხარის ვალდებულებები **კლიენტის პერსონალურ მონაცემების** დაცვის უზრუნველსაყოფად.
- 13.11. **პირდაპირი მარკეტინგი**
- კლიენტი** თანხმობას აცხადებს და ადასტურებს **ბანკის** უფლებამოსილებას დამოუკიდებლად, ასევე დამუშავებაზე უფლებამოსილი ან/და დაკავშირებული პირ(ებ)ის მეშვეობით, **ბანკის** მონაცემთა დაცვის პოლიტიკის შესაბამისად, დამუშავოს **კლიენტის** საიდენტიფიკაციო, საკონტაქტო, ფინანსური და სხვა **პერსონალურ მონაცემები** იმ მიზნით, რომ ტელეფონის, ფოსტის, ელექტრონული ფოსტის, **ციფრული ბანკის** ან/და, შეზღუდვის გარეშე, სხვა ხელმისაწვდომი სატელეკომუნიკაციო/ელექტრონული საშუალებ(ებ)ით განახორციელოს **კლიენტისათვის** საბანკო, მათ შორის საკრედიტო პროდუქტების, მომსახურების, აქტივების და სხვ. პირდაპირი და უშუალო შეთავაზება/ინფორმაციის მიწოდება (**პირდაპირი მარკეტინგი**).
- 13.11.1. **კლიენტს** უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოითხოვოს ელექტრონული ფოსტით, ტელეფონით, ციფრული ბანკით ან/და სხვა ელექტრონული საშუალებით **პირდაპირი მარკეტინგის** მიზნით მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა შესაბამის ელექტრონულ საშუალებაში გათვალისწინებული უარის თქმის მექანიზმის გამოყენებით, იმავე ფორმის/არხის მეშვეობით, რომლითაც ხორციელდება პირდაპირი მარკეტინგი, ასევე ბანკის სერვისცენტრისადმი მიმართვის, ბანკის ცხელ ხაზზე (0 322 55 55 00) დაკავშირების გზით ან/და მხარეთა შორის შეთანხმებული ან/და კანონმდებლობით დადგენილი სხვა ფორმით. ამასთან, **კლიენტისთვის** ცნობილია, რომ **პირდაპირი მარკეტინგის** მიზნით მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის არარსებობის შემთხვევაში ბანკი მოკლებული იქნება შესაძლებლობას განახორციელოს კლიენტზე მორგებული მომსახურების/პროდუქტების შეთავაზება ზემოაღნიშნული პირობებით.
- 13.11.2. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, **პირდაპირი მარკეტინგად** არ მიიჩნევა და **კლიენტს** არ იქნება უფლებამოსილი **ბანკის** მოსთხოვოს პროდუქტის, მომსახურების შესახებ და სხვ. ისეთი ინფორმაციის მიწოდების შეწყვეტა (მაგ. სარეკლამო ბანერი, ფლაერი, ზეპირი შეთავაზება და სხვა), რომელიც ხორციელდება უშუალოდ **ბანკის** ან/და მისი წარმომადგენლის მიერ საბანკო საქმიანობის განხორციელების წერტილებში ან **ბანკის** კუთვნილ (**ბანკთან** ასოცირებულ) დისტანციურ არხებში (მათ შორის **ბანკომატი**, **ციფრული ბანკი** და სხვა).
- 13.11.3. **ბანკი** უფლებამოსილია განახორციელოს **კლიენტისთვის** ისეთი საკრედიტო პროდუქტის/მომსახურების შეთავაზება/რეკლამირება, რომლის დაფარვის წყარო დაკავშირებულია სოციალურ დახმარებასთან/პენსიასთან, თუ აღნიშნულზე **კლიენტს** გაცხადებული აქვს თანხმობა. ამასთან, **კლიენტი** ინფორმირებულია რომ უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს განცხადება/თანხმობა **ბანკისადმი** მიმართვის გზით.
- 13.11.4. **კლიენტისთვის** ცნობილია, რომ **პირდაპირი მარკეტინგის** მიზნებისათვის **მონაცემთა დამუშავების** შეწყვეტის მოთხოვნის საფუძველზე შეწყდება მხოლოდ სარეკლამო ხასიათის ელექტრონული კომუნიკაციები. **კლიენტთან** დაკავშირება მის შესახებ **ბანკში** დაცული საკონტაქტო მონაცემების გამოყენებით გაგრძელდება **ბანკსა** და **კლიენტს** შორის ურთიერთობის ფარგლებში წარმოშობილ საკითხებთან/ვალდებულებებთან დაკავშირებით, მათ შორის, **კანონმდებლობის** მოთხოვნათა გათვალისწინებით, კრედიტის ვადაგადაცილებისა და სხვა ნებისმიერი ტიპის დავლიანების თაობაზე **კლიენტის** ინფორმირების მიზნით, მომსახურების/პროდუქტის პირობების ცვლილების, დემოხატების დაზღვევის შესახებ ინფორმაციის მიწოდების, ასევე **კლიენტის** განცხადებებსა თუ მოთხოვნებზე რეაგირების უზრუნველსაყოფად და სხვა შესაბამისი ინფორმაციის მისაწოდებლად.
- 13.12. **ვიდეო და აუდიო მონიტორინგი**
- 13.12.1. დანაშაულის თავიდან აცილების, მისი გამოვლენის/მოკვლევის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, საიდუმლო (კონფიდენციალური) ინფორმაციის დაცვის და ბანკის ლეგიტიმური ინტერესების სფეროსათვის მიკუთვნებული სხვა მნიშვნელოვანი ამოცანების შესასრულებლად, (მათ შორის, ინციდენტების მართვა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა, პროცესების მონიტორინგი, რისკების მართვა და სხვ.) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვის, **ბანკში** მიმდინარეობს შენობ(ებ)ის გარე და შიდა პერიმეტრის, მათ შორის, შეხვედრების ოთახების, მომსახურების სივრცეების და სამუშაო ადგილ(ებ)ის ვიდეო და აუდიო მონიტორინგი. მონიტორინგი ან/და ფოტოგადაღება ასევე ხორციელდება **ბანკში**, მის

სერვისცენტრში ან/და **ბანკის** პარტნიორი ორგანიზაცი(ებ)ის კუთვნილ ობიექტ(ებ)ში **ბანკომატის** ან/და სხვა შესაბამისი ელექტრონული საშუალებით. **ბანკთან/ბანკის** წარმომადგენელთან სატელეფონო კომუნიკაციისას ზარების ჩანაწერების სისტემის (აუდიომონიტორინგი) მეშვეობით ხორციელდება **ბანკის** შემავალი და გამავალი ზარების ჩაწერა/დამუშავება მომსახურების სრულყოფისა და ჯერონად შესრულების, განცხადებების, პრეტენზიების განხილვისა და რეაგირების, ეთიკის კოდექსისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების დაცვის მონიტორინგის, ასევე **ბანკის** სხვა კანონიერი ინტერესების დაცვის (მათ შორის, იურიდიული ძალის მქონე მტკიცებულების შექმნა) მიზნებისათვის. **კლიენტი**, აცნობიერებს რა ვიდეო და აუდიო მონიტორინგის აუცილებლობას, ეთანხმება და ადასტურებს **ბანკის** უფლებამოსილებას აღნიშნული ფორმით მონაცემების დამუშავებაზე.

13.13. მონაცემების განახლება, დამუშავების და შენახვის ვადა.

13.13.1. **ხელშეკრულების** მოქმედების განმავლობაში, ასევე მისი შეწყვეტის შემდგომ, **ბანკის** მიერ წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული ინფორმაციის, მათ შორის **პერსონალური მონაცემების**, ამავე პირობებით განსაზღვრული მიზნებით **დამუშავება** ხორციელდება იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნების მისაღწევად, **ბანკის** ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად, ან/და იმ ვადით, რომელიც მოთხოვნილია რეგულატორის მიერ ან/და გათვალისწინებულია **კანონმდებლობით**.

13.13.2. ელექტრონული არხების საშუალებით (ვებ-ბრაუზერი, **ბანკის** ვებ-გვერდი, ციფრული **ბანკი**, **ბანკის** მობილური აპლიკაციები ან/და მონაცემთა გადაცემის სხვა ტექნიკური საშუალებები) მონაცემების დამუშავება არ შეწყდება **კლიენტის** მიერ ამ მონაცემების ელექტრონული არხებიდან წაშლის ან/და **ბანკთან** საქმიანი ურთიერთობის შეწყვეტისას და აღნიშნული მონაცემების შენახვა ასევე განხორციელდება იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნების მისაღწევად, **ბანკის** ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად ან/და იმ ვადით, რომელიც მოთხოვნილია რეგულატორის მიერ ან/და გათვალისწინებულია **კანონმდებლობით**.

13.13.3. **კლიენტი** მოთხოვნის შემთხვევაში, **ბანკი კანონმდებლობით** გათვალისწინებულ ფარგლებში, მიაწვდის **კლიენტს** მის **პერსონალურ მონაცემებთან** დაკავშირებით **ბანკში** არსებულ ინფორმაციას. აღნიშნული ინფორმაციის გაცემაზე **ბანკი** უფლებამოსილია დააწესოს მომსახურების საფასური, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინფორმაციის უსასყიდლოდ მიწოდების ვალდებულება გათვალისწინებულია **კანონმდებლობით**.

13.13.4. თუ **კლიენტი** თვლის, რომ **კლიენტის** შესახებ **ბანკში** არსებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს ან არ არის სრული, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს **ბანკს** აღნიშნულის შესახებ. **ბანკი** არც ერთ შემთხვევაში არ იქნება პასუხისმგებელი **კლიენტის** მხრიდან ამგვარი შეუტყობინებლობით და მცდარი, არაზუსტი ან/და არასრული **მონაცემების დამუშავებით** გამოწვეულ ნებისმიერ შედეგებზე.

13.13.5. თუ **კანონმდებლობით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **კლიენტი** არ არის უფლებამოსილი მოსთხოვოს **ბანკს** მის შესახებ **ბანკში** დაცული **პერსონალური მონაცემების** წაშლა.

13.14. **პერსონალურ მონაცემთა** დამუშავების დამატებითი პირობები განისაზღვრება **ბანკის** ვებ-გვერდზე www.libertybank.ge განთავსებული მონაცემთა დაცვის პოლიტიკა(ებ)ით.

შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთანხმებული პირობებით. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულების** შესრულების ადგილად მიიჩნევა **ბანკის** იურიდიული მისამართი.

14.7. **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებიდან** ან/და **კანონმდებლობიდან** გამომდინარე ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, **ბანკის** მიერ უფლებ(ებ)ის გამოყენებლობა არ წარმოადგენს მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმის საფუძველს, ამასთან **ბანკის** მიერ ამგვარი უფლებ(ებ)ის გამოყენებლობა არ წარმოადგენს შემდგომში **ხელშეკრულების** ან/და **კანონმდებლობის** დარღვევის შედეგად წარმოშობილ მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმის საფუძველს.

14.8. **ხელშეკრულებაში** არსებული მუხლ(ებ)ი/პუნქტ(ებ)ი/ქვეპუნქტ(ებ)ი დანაშაულო და დასათაურებელია, ხოლო გამოქვეყნებული სიტყვები მოცემულია **ხელშეკრულების** შინაარსის მოხერხებულად აღქმის მიზნით და არ ახდენს გავლენას **ხელშეკრულების** ინტერპრეტაციაზე.

14.9. წინამდებარე პირობებს ენიჭება უპირატესი ძალა **მხარეთა** შორის აქამდე იგივე საგანზე გაფორმებულ ნებისმიერ შეთანხმებასა და ხელშეკრულებასთან შედარებით.

14.10. **ხელშეკრულება** შედგენილია ქართულ ენაზე, რომლის პირობებიც განთავსებულია **ბანკის** ვებ-გვერდზე: <http://libertybank.ge>. **ბანკის** სურვილის შემთხვევაში დამატებით შესაძლებელია სიტყვები მოცემულია ამ შემთხვევაში ქართულ ენაზე შედგენილ **ხელშეკრულებას** და მის **პირობებს** უპირატესობა მიენიჭება სხვა ენაზე შედგენილ **ხელშეკრულებასთან** და მის **პირობებთან** მიმართებაში.

14. დასკვნითი დებულებები

14.1. **კლიენტი** ვალდებულია **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში, **ბანკის** მიერ განსაზღვრულ ვადაში, მიაწოდოს **ბანკის** მიერვე მოთხოვნილი ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია.

14.2. **ხელშეკრულების** რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის **კანონმდებლობის** საფუძველზე ბათილად ცნობის/ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში დანარჩენი მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი, ქვეპუნქტ(ებ)ი ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას.

14.3. **კლიენტი** არ არის უფლებამოსილი **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე მესამე პირ(ებ)ს სრულად ან ნაწილობრივ დაუთმოს **ხელშეკრულებით** მინიჭებული უფლებები ან/და **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან, **ბანკი** მიუხედავად აღნიშნული პირობისა უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ მესამე პირებისაგან მიიღოს **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ვალდებულების შესრულება.

14.4. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მესამე პირებს დაუთმოს/გადასცეს **პირობებით** განსაზღვრული უფლებები ან/და მოვალეობები. ამასთან თუ **ბანკი** ისარგებლებს ან დააპირებს წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული უფლებით სარგებლობას, **ბანკი** უფლებამოსილი იქნება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გადასცეს **კლიენტის** ან/და **კლიენტის საბროკერო ანგარიშის** შესახებ **კონფიდენციალური ინფორმაცია** მესამე პირებს.

14.5. **ხელშეკრულების** პირობების მოქმედება სრულად ვრცელდება **მხარეებზე**, მათ თანამშრომლებზე, წარმომადგენლებზე, სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამოსიანცვლელებზე.

14.6. **ხელშეკრულება** რეგულირდება და განიმარტება **კანონმდებლობის** შესაბამისად. იმ შემთხვევაში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული **ხელშეკრულებით** მხარეები იხელმძღვანელებენ **კანონმდებლობით** დადგენილი

დანართი №1 - სატარიფო პაკეტი

	Equity	Fixed income and money market instruments
ყიდვა/გაყიდვა	<ul style="list-style-type: none"> ქართული ბაზარი - ტრანზაქციის მოცულობის 1% აშშ/კანადა - ტრანზაქციის მოცულობის 1%, მინიმალური 12 დოლარი/კანადური დოლარი შესაბამისად დიდი ბრიტანეთი - ტრანზაქციის მოცულობის 1%, მინიმალური 15 ფუნტი კონტინენტური ევროპა - ტრანზაქციის მოცულობის 1%, მინიმუმ 20 ევრო სხვა - ტრანზაქციის მოცულობის 1%, მინიმალური 12 დოლარის ექვივალენტი შესაბამის ვალუტაში 	<ul style="list-style-type: none"> ტრანზაქციის მოცულობის 0,4% აშშ სახაზინო ობლიგაციები - 0-500000 ტრანზაქციის მოცულობის 0,2%, 500000> ტრანზაქციის მოცულობის 0,1%
შენახვა	წლიური საბაზრო ღირებულების 0,2%	წლიური საბაზრო ღირებულების 0,1%
აქტივების გატანა	0,03%, მინიმუმ 70 ერთეული შესაბამის ვალუტაში ყოველ ISIN-ზე	
ფულადი სახსრების გატანა	მთლიანი გასატანი თანხის მოცულობის 0,01%	